გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№105 (1000) 31 ოქტომბერი - 2 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## კანონი მკაცრდება



ვის ჩამოართმევენ იარაღის ტარების უფლებას

გვ. 4

# გუბაზ სანიკიძე დუმილს არღვევს



კარგად ვარ და ვარ საქართველოში. როცა პოლიტიკოსი ოპოზიციიდან ხელისუფლებაში ინაცვლებს, მისთვის ვითარება იცვლება. თუმცა ვერ გამიგია, აქტიურობა რას დავარქვა. იმას გულისხმობთ, ტელევიზორში ხშირად რატომ არ ვჩანვარ? გუბაზ სანიკიძის გაუჩინარების მითი მარტო ჩემი ბრალი არ არის! თემები, რაც დღეს ქვეყანაში ტრიალებს, მე არ მაინტერესებს, სისულელეა.

ამ სკამზე ჯვარი არ დამიწერია. მეოთხე მოწვევის დეპუტატი ვარ და ბოლობოლო, დამოუკიდებლობის აქტზე ხელი მაქვს მოწერილი... დღეს მთავარია, საქმე გაკეთდეს და ამას ვინ მიიწერს, მნიშვნელობა არ აქვს. „სამზარეულოს რეიტინგის" შენარჩუნება არ გამომივა, ამაში მაგარი ვერ ვიქნები.

აფხაზეთის საქმეებში არ უნდა ჩავერიოთ. 1 და 2 წლის შემდეგ აფხაზეთში უკუპროცესები დაიწყება. ეს პროცესები ბოლომდე თავად მიიყვანონ, იმის მიუხედავად, რომ, დარწმუნებული ვარ, ეს მათთვისვე იქნება სავალალო.

შიში, ნაციონალები უკან არ მობრუნდნენო, სისულელეა. ჩემი მტერი და დამაწყევარი მობრუნდეს ისე, ესენი რომ მობრუნდებიან... დაანებეთ თავი ამ „ოცნებას". სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ იყო, მაშინ არ მეშინოდა მისი და ახლა რატომ უნდა მეშინოდეს?!

გვ. 3-5

## „მეგისამ მითხრა, ბიზნესმენს „წამალზე" დავიჭერ, მაგისი ლამაზი ჩერქეზი ცოლი კი ჩემი გახდებაო"

როგორ გააუბედურეს როლანდ ახალაიამ და მეგის ქარდავამ დათოს ოჯახი „შეუსრულებელი მისიის" გამო

გვ. 7



პატიმრის დღიური

## საყდრისი-ყაჩაღიანის ქართულ-გერმანული სამეცნიერო ექსპედიციის ხარჯები გასაიდუმლოებულია

გვ. 7

აფეთქებდნენ თუ არა გვირაბს ექსპედიციის დროს

## „წყალი მარგებელის" სოციალური პროექტი 2015 წელსაც გაგრძელდება

განათლებული მომავლისათვის" ფარგლებში, ინგლისური ენის ოლიმპიადაზე გამარჯვებულები დიდ ბრიტანეთში გაემგზავრებიან

გვ. 6

# უკანონო მოსმენების შესახებ კანონის მიღება 28 თებერვლამდე გადავადდა

## როგორ იხსნა დავით უსუფაშვილმა უმრავლესობა და რატომ სჭირდებათ დეპუტატებს ეთიკის კოდექსი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**30 ოქტომბერს ქუთაისის პარლამენტში მრავალსაათიანი პლენარული სხდომა გაიმართა. ეს სხდომა კი, წინა დღეს გამართული 8-საათიანი სხდომის მსგავსად, მოსმენების შესახებ კანონის გადაწევის თემამ გაახანგრძლივა. „ოცნების“ უმრავლესობა უხერხული მდგომარეობიდან პარლამენტის თავმჯდომარემ იხსნა, რომელმაც განაცხადა, რომ უკანონო მოსმენების შესახებ კანონის მიღება, რაც 1 ნოემბრამდე უნდა დასრულებულიყო, 1 აპრილის ნაცვლად, 28 თებერვლამდე გადაიდო. რეგისტრაცია 101-მა დეპუტატმა გაიარა, კანონს მხარი 65-მა დეპუტატმა დაუჭირა, 31 კი წინააღმდეგი აღმოჩნდა.**



თუმცა დეპუტატებმა ჯერ საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი კახიანის მოხსენება მოისმინეს, რომელსაც ოპონენტებმა პარლამენტარიზმის ისტორიაში ყველაზე სუსტი გამოსვლა უწოდეს. კახიანმა კი კოლეგებს კონკრეტული სიახლის შესახებაც ამცნო — როგორც ირკვევა, პარლამენტში დეპუტატთა ეთიკის კოდექსი მუშავდება. ეს განცხადება კახიანმა ოპოზიციონერი დეპუტატის, გიორგი კანდელაკის პასუხად გააკეთა. კანდელაკმა კი პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ ნაციონალებს, მათ შორის ქალბატონებს, შეურაცხყოფას ხშირად უმრავლესობის წევრები აყენებენ, რასაც შესაბამისი რეაგირება არასოდეს მოჰყოლია. მისივე თქმით, შექმნილია საპარლამენტო ეთიკის ჯგუფი, რომელსაც დღემდე არაფერი გაუკეთებია. **გიორგი კახიანის** არგუმენტი ასეთი იყო: **„ასეთი კოდექსის არსებობა საჭიროა, თუკი გავიხსენებთ შემთხვევებს, რასაც, პერიოდულად, პარლამენტში აქვს ადგილი. პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს და იმედი მაქვს, მალე იქნება მზად“.** კითხვები, ძირითადად, პარლამენტის თბილისში გადმოტანასა და საკომიტეტო მუშაობის თბილისში უკანონოდ ჩატარებას ეხებოდა. ეს თემა ლევან ბეჟაშვილმა წამოწია, ირმა ნადირაშვილმა კი იკითხა, უმცირესობის ფრაქციის მიერ დაბარებული შს მინისტრი ჭიკაიძე პარლამენტში რატომ არ მოდისო. პავლე კუბლაშვილის კითხვები საკონსტიტუციო სასამართლოს კვლავ დაუნიშნავ ერთ მოსამართლეს ეხებოდა. დაისვა საკითხი იუსტიციის საბჭოს წევრის არჩევის კვოტის არგამოყენების შესახებ და როგორც უმცირესობამ განაცხადა, ეს კვოტა სწორედ მათ ეკუთვნით. კიდევ ერთი თემა, რაც უმრავლესობამ წამოსწია, ბრალდება იყო იმის თაობაზე, რომ პარლამენტი და პროკურატურა ერთმანეთში ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ, ნაციონალი დეპუტატების დაკითხვის შესახებ და დეპუტატის უფლებების დასაცავად პარლამენტი ამ დროს არაფერს აკეთებსო. შემდეგ შესვენება გამოცხადდა და ნამდვილი სხდომა სწორედ ამის მერე დაიწყო. საათნახევრიანი შესვენების შემდეგ, რომელიც დეპუტატებმა ნახევარი საათით თვითნებურად გაიხანგრძლივეს, სხდომა იურიდიული კომიტეტიდან მომხსენებელმა, შალვა შავგულიძემ უკანონო მოსმენების შესახებ კანონზე საუბრით გააგრძელა. საუბარია იმ ორ მუხლზე, რაც ამ კანონში ისევ შეუთანხმებელია — ვის უნდა ჰქონდეს მოსასმენი ტექნიკური საშუალებები ანუ ე.წ. გასაღები და რომელ უწყებას რა დონის წვდომა უნდა ჰქონდეს ამ ტიპის ინფორმაციებთან. პერსონალურ მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით კანონპროექტის მომზადების საკითხი 2015 წლის 1 აპრილამდე უნდა გადაიწიოსო, ამბობდა „ოცნება“, თუმცა 1 აგვისტოს ითქვა, რომ ეს საკითხი 1 ნოემბრამდე უნდა გარკვეულიყო. **შალვა შავგულიძე: „ევროპელი ექსპერტები გვთავაზობენ 2 ე.წ. გასაღების არსებობას — ერთი უნდა ჰქონდეს სასამართლოს და მეორე მობილურ კომპანიებს. არის ვარიანტი, ჰქონდეთ პროვაიდერ კომპანიებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს. კიდევ ერთი ვერსიით კი, შესაძლოა, შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო. მესმის, ვადებში ვერ ჩავეტიეთ, მაგრამ ამ კარგი საქმის კარგ დასაწყისს ახლა სიჩქარესა და ფაციფუცს ნუ გადავაყოლებთ!“** მისივე თქმით, იანვარში, ბრიუსელის კონფერენციაზე, იგეგმება ჩარჩო-სტანდარტების შემუშავება, თუ როგორი უნდა იყოს ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციების მოპოვება-გამოყენება. ამიტომ დაველოდოთ ამ სტანდარტებს, თებერვალში ჩვენ ჩამოვაყალიბოთ ცვლილებები, მარტის პირველ რიცხვებში კი გავაკეთოთ კანონის ინიცირება, რომ იგი უკვე 1 აპრილს მივიღოთო. ამის შემდეგ დეპუტატებმა მომხსენებელს კითხვები დაუსვეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო **მიხეილ მაჭავარიანის** განცხადება, რომელმაც, პარალელურად, საკუთარ გუნდსა და თავსაც დაარტყა: **„დღესაც ის მავნე პრაქტიკა გრძელდება მოსმენებზე, რაც ჩვენი ხელისუფლების დროს იყო? თქვენც აგრძელებთ იმ უკონტროლობას?!“** თავისდაუნებურად, საკუთარ გუნდს დაარტყა „ოცნებელმა“ ალექსანდრე ქანთარიამაც, რომელმაც განაცხადა, გადადებული საქმე ეშმაკისააო. ნაციონალებმა მის გამოსვლას ყველაზე გულწრფელი უწოდეს და განაცხადეს, ეს საკითხი აპრილამდე კი არა, სამუდამოდ გადაიდებაო. პარალელურ რეჟიმში, „ოცნების“ ორად გაყოფილი და დაბნეული ლიდერები ტრიბუნასთან გამოდიოდნენ და ძირითადად, სინანულს გამოთქვამდნენ დაგვიანების გამო. სწორედ მაშინ, როცა ვითარება ჩიხში შევიდა, 10-წუთიანი სიტყვა პარლამენტის თავმჯდომარემ, **დავით უსუფაშვილმა** ითხოვა და სხდომაზე საუკეთესო გამოსვლა ჰქონდა, რომელიც კონკრეტული შეთავაზებით დაასრულა: **„ახია ჩვენზე, რომ მოსმენებზე, პოლიციაზე და ა.შ. ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლიდან 2 წლის მერე ვსაუბრობთ და თან, ამ თემაზე ნაციონალებს ვალაპარაკებთ. ეს საკითხი 2013 წლის სექტემბერში, მაისში, მაშინვე უნდა განგვეხილა. ახლა იმაზე უნდა ვსაუბრობდეთ, როგორ წავიყვანოთ ქვეყანა წინ და არა იმაზე, როგორ გამოვიყვანოთ ქვეყანა ნაციონალების მიერ შექმნილი ამ მახინჯი სისტემიდან. კანონის მიღების გადავადება რომ გვიწევს, დიახ, ეს ჩვენი ბრალია. თუმცა 1 ნოემბრიდან ამ საკითხის წესიერად მოგვარების შანსი ნულს უდრის. მინდა, მივმართო პრეზიდენტს და გამოვთქვა წუხილი, რომ ჩვენ მას ვაიძულებთ, ჩვენს დაგვიანებულ გადაწყვეტილებას ხელი 24 საათში მოაწეროს. ვპირდები, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება. პარლამენტს კი კანონის მიღების გადადებას 28 თებერვლამდე ვთავაზობ. ჩვენ იანვარშიც ვიმუშავებთ და მგონი, გავუმკლავდებით, ეს საკითხი ისე მოწესრიგდეს, როგორც ჩვენს ქვეყანას ეკადრება“.**



### პროკურორისთვის უცნობია, დაკითხავენ თუ არა ირაკლი ალასანიას

პროკურორ ჯარჯი წიკლაურის განცხადებით, მისთვის უცნობია, მოხდება თუ არა თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების საქმეზე თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას დაკითხვა.

ჟურნალისტები ამ საკითხით თბილისის საქალაქო სასამართლოში, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების საქმეზე სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ დაინტერესდნენ. პროკურორის თქმით, ამ დროისთვის საქმეში მხოლოდ დაკავებულები ფიგურირებენ. მისივე განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ საქმის ძიების პროცესში სხვა პირებიც გამოიკვეთებიან, ამას შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება.

შესყიდვების საქმეზე დაკავებულ თავდაცვის სამინისტროს ხუთ მაღალჩინოსანს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო. საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს და, შესაბამისად, პროცესი დახურული იყო. პატიმრობის შესახებ შუამდგომლობა ბრალდების მხარემ დააყენა.

როგორც პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმა განმარტა, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული უნდა ყოფილიყო პატიმრობა, რათა ამ პირებმა, რომლებიც არიან მაღალი თანამდებობის პირები, ზეგავლენა არ მოახდინონ მოწმეებზე. მისივე თქმით, დაცვის მხარე საზოგადოების დეზინფორმირებას ეწევა, როდესაც აცხადებს, რომ მათ მასალების გაცნობის საშუალება არ მისცეს. წიკლაურის ცნობით, ადვოკატები ორი დღის განმავლობაში მასალების გაცნობაზე უარს თავადვე ამბობდნენ.

სასამართლოს გადაწყვეტილებას დაცვის მხარე სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. ადვოკატმა, ლევან სამუშიამ მიმართა სამართალდამცველ ორგანოებს და აღნიშნა, რომ „ეს საქმე სამარცხვინოა“. მისი განცხადებით, მოსამართლემ მათ პოზიციის დაფიქსირების საშუალებაც არ მისცა.

წინასასამართლო სხდომა 11 დეკემბერს გაიმართება.

მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები დააკავა. უწყების ინფორმაციით, მოქმედ თანამდებობის პირებს ბრალად სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვა ედებათ. დაკავებულებს ბრალი წარედგინათ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით, რაც სახელმწიფო ქონების უკანონოდ გაფლანგვასა და მითვისებას გულისხმობს.

*„ინტერპრესნიუსი“*

### მოლაშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს 20 ათასი ევროს გადახდა დააკისრა



სტრასბურგის სასამართლომ სულხან მოლაშვილის საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა. სულხან მოლაშვილი ევროპული კონვენციის ოთხი მუხლით გამართლდა.

როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე აცხადებს, აღნიშნული თანხა შესაძლებელი იყო მეტი ყოფილიყო, თუკი დავა კიდევ უფრო გაგრძელდებოდა: **„მის მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ მოპყრობას, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ პატიმრობას, უსამართლო სასამართლოს, დისკრიმინაციას, ასევე ყოფილი პრეზიდენტის მხრიდან მისი უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევას. წინა ხელისუფლებაც უკვე გახდა იძულებული, აღიარების წერილი გაეგზავნა სტრასბურგში და დაეწყო მოლაშვილთან მორიგების პროცედურა, მაგრამ ამის შემდეგ პროცესი გაიწელა — ვერ მოხერხდა მოლაშვილის ადვოკატებსა და წინა ხელისუფლებას შორის მოლაპარაკება. ეს პროცედურა ჩვენ დავასრულეთ. სტრასბურგის სასამართლომ საქმე დახურა, რომლის ძალითაც ჩვენ დაგვეკისრა 20 ათასი ევროს გადახდის ვალდებულება, რაც უფრო მეტი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს დავა გაგრძელდებოდა“.** მოლაშვილმა სასამართლოს 2004 წელს მიმართა.

*„პირველი“*

ვერსიანიუსი

### 10 000-მდე დევნილს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართები საკუთრებაში გადაეცემა



შესაბამისი დადგენილების პროექტი მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა. დევნილთა და განსახლების მინისტრის სოზარ სუბარის ინფორმაციით, ფართები საკუთრებაში გადაეცემა იმ ადამიანებს, რომლებიც კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში ცხოვრობენ, თუმცა ეს ფართები მათი საკუთრება არ იყო და დღემდე არ ჰქონდათ გარკვეული, შეეძლოთ ეცხოვრათ, გაერემონტებინათ თუ სხვაგან გადავიდოდნენ: **„ყველა იმ ობიექტის აზომვა-შეფასება მოხდება, რომელიც მართლზომიერ საკუთრებაშია და მოხდება მათი გადაცემა სიმბოლურ ფასად — 1 ლარად. ამაში შედის 1 500-მდე სახლი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში, სოფლებში იყო შესყიდული ეკომიგრანტებისთვის, თუმცა საკუთრებაში არ იყო გადაცემული. ამიერიდან ესეც საკუთრებაში გადავა. ასევე, მოხდება იმ სახლების აზომვა, რომელიც არის კერძო მფლობელობაში და რომელთა გამოსყიდვაც შესაძლებელია კერძო მფლობელებისგან. ამისთვის სპეციალური პროგრამა შემუშავდება“.**

სოზარ სუბარისვე თქმით, ეს გადაწყვეტილება რამდენიმე ასპექტითაა განპირობებული: ადამიანებს გაუჩნდებათ საკუთრების შეგრძნება; საკუთრების კუთხით დევნილისა და სხვა მოქალაქის გათანაბრება მოხდება და გაჩნდება ფართები, რომლებიც მოექცევა ელემენტარულ ეკონომიკურ ბრუნვაში.

*„პირველი“*

# გუბაზ სანიკიძე დუმილს არღვევს

## რატომ დაბლოკეს ტელევიზიებმა, როდის ჩაატარებს კომიტეტის სხდომას პანკისში და რას ურჩევს ნაციონალებს გუბაზ სანიკიძე



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**კითხვაზე, რატომ აღარ ჩანხართ და აქტიურობთ, ხელისუფლებაში მოსული ყველა ექსოპოზიციონერი ბრაზობს. არგუმენტიც ყველას ერთი აქვს — იმიტომ, რომ ახლა ხელისუფლებაში ვართო, ამბობენ. არადა, საყვირალი და სატკივარი ამ ქვეყანაში, აშკარად არ გამოლეულა. იგივე არგუმენტი მოიშველია ქუთაისის მაჟორიტარმა და დიასპორებისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, გუბაზ სანიკიძემაც. იმის მიუხედავად, რომ არც ქუთაისი აყვავებულა, არც ჩვენი დიასპორები გაძლიერებულა და უცხოეთში გაფანტული ქართველობა დაბრუნებულა და არც ნაციონალური მოძრაობა გამქრალა რადარებიდან. სამაგიეროდ, ექსკლუზიურ ინტერვიუში, რომელიც სანიკიძეს ერთ წელზე მეტია არავისთვის მიუცია, ბევრ საინტერესო რამეს გვიყვება და აცხადებს, რომ კახა შარტავა ისევ პარტიაშია და ეროვნული ფორუმის სტრუქტურებს აქტიურად აშენებს, რამდენიმე ტელევიზიამ მისი კომენტარი მიზანმიმართულად დაბლოკა, მალე კომიტეტი გასვლით სხდომას პანკისში ჩაატარებს, დიასპორების ბიუჯეტი კი გაისად მინიმუმ ორჯერ გაიზრდება. გუბაზ სანიკიძე აანალიზებს გარესაფრთხეებს, სამეზობლოში მიმდინარე ორ ომს, რუსულ-აფხაზურ პროცესებს, ერს სააკაშვილის დაცინვისკენ მოუწოდებს და ნაციონალებს პრაქტიკულ რჩევებსაც აძლევს.**

**— ბატონო გუბაზ, როგორ ხართ, სად ხართ და რატომ აღარ აქტიურობთ?**

— კარგად ვარ და ვარ საქართველოში. როცა პოლიტიკოსი ოპოზიციიდან ხელისუფლებაში ინაცვლებს, რა თქმა უნდა, მისთვის ვითარება იცვლება, თუმცა ვერ გამიგია, აქტიურობა რას დავარქვა. იმას გულისხმობთ, ტელევიზორში ხშირად რატომ არ ვჩანვარ?

**— არც პარლამენტში ჩანხართ, არც ქუთაისში... ასე ის ხალხი ფიქრობს, ვინც ჯერ კიდევ 1 წლის წინ მერიაში, მაჟორიტარის ოთახის კარზე ლენტები გაგიკრათ.**

— სხვათა შორის, კარი შეეშალათ, ჩემი კარი არ იყო. მე ჩემი საქმე მაქვს — დიასპორებთან ურთიერთობასა და კავკასიის საკითხებზე ინტენსიურად ვმუშაობ.

**— ეროვნული ფორუმი, პარტიულად, რა მდგომარეობაშია და სად არის კახა შარტავა, აქტიურ პოლიტიკაში აღარასოდეს დაბრუნდება?**

— პოლიტიკაში დაბრუნებას რას ეძახით, გამაგებინეთ. ხშირად გამოჩენას ტელევიზორში? შარტავა არსად წასულა, პარტიაშია და ჩემთან ერთად ინტენსიურად მუშაობს, ოღონდ ფუნქციები გვაქვს გაყოფილი — მე საპარლამენტო საქმიანობას ვეწევი, პარტიულ სტრუქტურებს კახა შარტავა აგებს და ამ საკითხზე პრესკონფერენციების ჩატარება საჭიროდ არ მიმაჩნია. დღეს ჩვენი პარტია ძალიან ძლიერი და მრავალრიცხოვანია და ამ საქმეში შარტავა და რეზო შავიშვილი აქტიურად არიან ჩართულნი. პარტიას ერთი თავმჯდომარე აღარ ჰყავს, პოლიტსაბჭო მართავს და ვფიქრობ, ეს სწორი მიდგომაა.

**— ერთი წლის წინ „ფორუმისა“ და „ქართული ოცნების“ გაერთიანებაზეც იყო საუბარი, რატომ გადაიფიქრეთ?**

— გადავწყვიტეთ, რომ ორი ერთს სჯობია.

**— ე.ი. კოალიცია რომ დაიშალოს, 2016 წელს პარლამენტში მაინც შეხვალთ?**

— ეგ მარჩიელობას ჰგავს. აქ იმდენი დაშვებაა, შესვლა-არშესვლა შემთხვევითობას ემსგავსება. „ოცნებაში“ 6 პარტია ვართ და ცალკეული განცხადებების მიუხედავად, ცალკე გასვლას არავინ ფიქრობს. ეს ხომ სიმპათია-ანტიპათიაზე კი არა, პრაგმატულ ინტერესებზეა დამოკიდებული. პირდაპირ ვთქვათ, ასეთი ინტერესი დღეს არავის აქვს. ეს არც ქვეყნის ინტერესში შედის, რადგან ახლა საქართველოს შიდაპოლიტიკური რყევები არ სჭირდება.

**— ასეთი რყევები უკვე არის და ამას, პირველ რიგში, ხელისუფლება უწყობს ხელს შიდაკინკლაობით.**

— ამ თემების გაშლა „ოცნებას“ არ აწყობს, მაგრამ რასაც ხალხი და მედია უკვეთავს, იმას აკეთებენ პოლიტიკოსები და არა პირიქით. სხვათა შორის, რამდენჯერმე სხვადასხვა მედიასაშუალებას კომენტარიც მივეცი პრემიერ-პრეზიდენტის ე.წ. დაპირისპირებაზე და არ გაუშვეს, რადგან სკანდალური არაფერი მითქვამს. ახლა სათქმელს თქვენი საშუალებით ვიტყვი — ეს ე.წ. კინკლაობა პერსონების კი არა, კონსტიტუციის პრობლემაა. ანუ კანონში მარტივ ქართულ ენაზეა ჩასაწერი, ვის რა უფლება-მოვალეობები აკისრია. გუბაზ სანიკიძის გაუჩინარების მითი მარტო ჩემი ბრალი არ არის! თემები, რაც დღეს ქვეყანაში ტრიალებს, არ მაინტერესებს, სისულელეა. აი, მონიტორინგი კი, ვინ რამდენი დახარჯა და საქმიანი კრიტიკა, კარგია, რადგან პოლიტიკოსმა არ უნდა ჩამოიძინოს. ადამიანი ფხვიერი არსებაა და ყოველთვის კომფორტს ეძებს.

**— თქვენც ეძებთ კომფორტს?**

— მუშაობის დროს კი. თავად ხედავთ, ძალიან კარგი კაბინეტი და ბიბლიოთეკა მაქვს. ეს ჩემთვის უმაღლესი დონის კომფორტია. ჩემს ბიბლიოთეკაში 8 000 წიგნია და კაბინეტში „1000 რჩეული“ მიდევს.

**— ალბათ, დუმილშიც არის გარკვეული კომფორტი. თუმცა ერთი „არაკომფორტული“ განცხადება თქვენც გააკეთეთ — თუ დიასპორების ბიუჯეტი გაისად არ გაიზრდება, კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს დავტოვებო. რა პრობლემები აქვს კომიტეტს და კონკრეტულად რაში არ გყოფნით ფული?**

— საკითხი სხვანაირად დგას — ჩვენი ერის მეოთხედი ქვეყნის გარეთაა და მათ გარეშე ქვეყანას ფეხზე ვერ დავაყენებთ. აზერბაიჯანი ნახევარ მილიარდ დოლარს ხარჯავს დიასპორებზე, ჩვენ კი მილიონ ლარსაც არა. საქმე მარტო ფულში არ არის, დიასპორებთან ურთიერთობა თუნდაც ქვეყნის უსაფრთხოების საკითხია. ძველის გარდა, ახალი დიასპორებიც გვაქვს, რომლებიც საქართველოს მოწყვეტილია. რამდენიმე პროექტიც განხორციელდა, მაგალითად, ინტერნეტტელევიზია, ტელეგაკვეთილები... თუმცა, მარტო ქართული ცეკვითა და ჩოხა-ახალუხის ჩატანით ქართველობას ვერ შევინარჩუნებთ. დიასპორებთან ურთიერთობის გრძელვადიანი პროექტები გვჭირდება. გაისად ჩვენი ბიუჯეტი 2, 3 მილიონამდე მაინც უნდა გაიზარდოს. კომიტეტის გასვლითი, დახურული სხდომის ჩატარებას ვაპირებთ პანკისის ხეობაში. მანამდე, ნოემბრის შუა რიცხვებში, ახმეტაში ჩასვლას ვგეგმავთ. მინდა, სხდომები ახალქალაქსა და მარნეულშიც ჩავატაროთ. ამ პროცესში დავით უსუფაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი აქტიურად არიან ჩართულნი.

**— პრეზიდენტს არც თქვენ ელაპარაკებით?**

— არა, რა შუაშია. პრეტენზიები არავის მიმართ მაქვს. უბრალოდ, ეს საკითხები პრემიერის გადასაწყვეტია. თორემ პრეზიდენტთან შეხვედრაც მქონდა და ჩვენი საქმიანობის შესახებ მოკლე ინფორმაციაც მივაწოდე. რაც შეეხება კომიტეტის მუშაობას, დახურული სხდომები ძალიან ხშირად გვაქვს და მათ პირდაპირ ეთერში არ ვუშვებთ, რადგან რაღაც თემების გახმაურება ქვეყნის ინტერესებს დააზიანებს. დღე და ღამე ვმუშაობ და არაა საჭირო, ეს ტელევიზიაში ჩანდეს. ძალიან ბევრი მტერი ჰყავს ამ ქვეყანას, რომ ყველაფერი სააშკარაოზე გამოვიტანოთ.

**— ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, დიასპორების როლი უნდა გაძლიერდესო. ეს უბრალოდ განცხადება იყო განცხადებისთვის, თუ კონკრეტული სტრატეგია არსებობს?**

— კონკრეტულ მაგალითს გეტყვით — ძალიან მალე სტამბოლის ქართული კათოლიკური მისიის ფონდის საკითხის საჩვენოდ გადაწყვეტას ველი. იქ 85 000-მდე ჩვენთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია და 30 წელია, ეს საკითხი ვერ გადაწყდა. ახლა პროცესი დაიძრა. რამდენიმე დღის წინ, პრემიერის დავალებით, სტამბოლშიც ვიყავი. ამ საქმეს კარგი პირი უჩანს. თუმცა ამას, რა თქმა უნდა, არავინ აშუქებს.

**— ასეთ საკითხებს ალბათ, შიდაკონფლიქტები ჩრდილავს. ჭელაში მინარეთის მოხსნა, ქობულეთში ღორის თავის დაკიდება, ადიგენში 14 მუსლიმის დაკავება, სადავო შენობის გამო. ეს რელიგიური შუღლის გაღვივების მცდელობაა?**

— გამეხარდა, ეს რომ მკითხეთ. საქართველოში რელიგიური შუღლი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება. ღრმად ვარ დარწმუნებული, თითოეული ეს მოვლენა ქვეყნის გარედანაა ინსპირირებული.

**— კიდევ კარგი, ყველაფერს თქვენც „ნაციონალების 9-წლიან ბოგინს“ არ აბრალებთ.**

— რა შუაში არიან ნაციონალები, მაგათ თავისი ცოდვები ეყოფათ. ამ რელიგიური შუღლის გაღვივებას ქვეყნის შიგნით ვერავის დავაბრალებ. გარკვეული ეჭვიც მაქვს და ინფორმაციაც, რომ ეს პროცესი ქვეყნის გარედან იმართება. სხვათა შორის, რელიგიურ თემატიკაზე დაძაბულობა მხოლოდ რუსეთს კი არა, სხვა ქვეყნებსაც აწყობთ საქართველოში. ჩვენ დაპირისპირების კი არა, დიალოგის კერა უნდა ვიყოთ. ქვეყანაში ძალიან ცუდი პროცესები მიდის და ახლა ამ კერების ჩაქრობაზე უნდა ვიმუშაოთ. კიდევ უფრო მძიმე პროცესებია ქვეყნის გარეთ: სამეზობლოში ორი ომია — უკრაინასა და ერაყში, საიდანაც ამერიკამ ჯარები უკვე გაიყვანა და ახლა თალიბებს ვინ გააჩერებს, კაცმა არ იცის. ქვეყანას ეს გარე საფრთხეებიც ავარიდოთ. მთელი ჩემი დრო და ყურადღება იმისკენაა მიმართული, ყველა მოვლენის საქმის კურსში ვიყოთ და მეტი პარტნიორი გავიჩინოთ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამაზე მნიშვნელოვანი ტელევიზორში გამოსვლა და ვინმეს გამოთათხვაა, ცდება. სააკაშვილი ჯერ კიდევ მაშინ ვთათხე, როცა ამას სხვა ვერ ბედავდა.

**— ლანძღვა ადვილია, მაგრამ ადეკვატურ და კომპეტენტურ ანალიზს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებსა და ევრაზიული სავაჭრო კავშირის შექმნაზე დღეს ძალიან ცოტა აკეთებს. თქვენი შეფასებაც არსად მომისმენია.**

— ჯერ ერთი, აფხაზეთი ევრაზიულ კავშირში ქვეყნის სტატუსით ვერ შევა, რადგან მაშინ მისი დამოუკიდებლობა ყაზახეთმა, სომხეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა და ბელორუსმა უნდა აღიარონ, რაც არასოდეს მოხდება. რაც შეეხება იქ განვითარებულ მოვლენებს, რუსეთმა აფხაზეთი სამხედრო თვალსაზრისით და სტრუქტურულად დაიქვემდებარა. ახლა რასაც ვიტყვი, ამას კარგად გააზრება სჭირდება — აფხაზეთის საქმეებში არ უნდა ჩავერიოთ. ჩემი აზრით, 1 და 2 წლის შემდეგ აფხაზეთში უკუპროცესები დაიწყება. აფხაზებმა ეს პროცესები ბოლომდე თავად მიიყვანონ, იმის მიუხედავად, რომ დარწმუნებული ვარ, ეს მათთვისვე იქნება სავალალო. ჩვენი მხრიდან ნებისმიერი ტიპის ჩარევა აფხაზებს ისევ აიძულებს, ანტიქართული პოზიცია დაიჭირონ და რუსეთს დაუთმონ. თუ არადა, მითხარით, რა ბერკეტები გვაქვს აფხაზეთში?

*დასასრული მე-5 გვერდზე*

## ვერსიანიუსი

### პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ სოფო ჯაფარიძე დაინიშნა



ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ სასჯელაღსრულების მინისტრის ყოფილი მოადგილე სოფო ჯაფარიძე დაინიშნა.

ჯაფარიძე ირაკლი ღარიბაშვილმა ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს სხდომაზე წარადგინა: **„სოფო ჯაფარიძე პროფესიით სამართალმცოდნეა, ის დღემდე ევროკავშირის პროექტის მენეჯერი იყო. მანამდე კი სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. მას აქვს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის დიდი გამოცდილება. ჩვენს მთავრობას აქვს ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის ეფექტურად განხორციელებაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონი სოფო ამ მოვალეობას თავს ღირსეულად გაართმევს“.** ჯაფარიძემ ამ თანამდებობაზე თამარ ჩუგოშვილი შეცვალა.

*„ინტერპრესნიუსი“*

### შსს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანიას აგრძელებს



შინაგან საქმეთა სამინისტრო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიას ამჯერად იმერეთის რეგიონში ახორციელებს. უბნის ინსპექტორებმა რეგიონის მაცხოვრებლებს შსს-ს მიერ მომზადებული საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგეს. კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდეს ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებისა და შედეგების შესახებ, ასევე, საზოგადოებასა და სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭომ, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია შეიმუშავა, რაც საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 2 ოქტომბერს დაამტკიცა. სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას და შესაბამისად, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია გრძელდება. უბნის ინსპექტორები საინფორმაციო ბუკლეტებს საქართველოს ყველა რეგიონის მაცხოვრებლებს დაურიგებენ.

*„ვერსიანიუსი“*

# უკანონო იარაღის მფლობელებს, ჯარიმის ნაცვლად, პატიმრობა ემუქრებათ

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**იარაღის შესახებ კანონი, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მითითებით, შეიცვალა. ცვლილებების პაკეტი ჭიკაიძე-წულუკიანის უწყებებმა პარლამენტს უკვე წარუდგინეს. მომხსენებელი, ტრადიციულად, თეა წულუკიანის პირველი მოადგილე, ალექსანდრე ბარამიძე იყო. კომიტეტებში მოსმენის შემდეგ, კანონი კიდევ ერთხელ შეიცვალა და როგორც „ვერსიას“ იუსტიციის სამინისტროში ეუბნებიან, კანონის ბოლო რედაქციაში ცვლილებები კვლავ იგეგმება. სადავოა, რამდენად გამკაცრებულია ეს კანონი რეალურად და ცვლილებების ამ პაკეტით, შევძლებთ თუ არა იმ საფრთხეების არიდებას, რისთვისაც ეს რეგულაციები წესდება.**

## რატომ გამკაცრდა კანონი და ვის ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება



წარმოდგენილ რედაქციაში რამდენიმე ცვლილება იკითხება: 1. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონს ემატება 271-ე მუხლი, რომელიც სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, შენახვის ან ტარების ნებართვის მაძიებელი პირის სათანადო შემოწმებას აწესრიგებს. 2. პირი, რომელსაც სურს ნებართვის მოპოვება იარაღის შეძენა-შენახვა-ტარებაზე, 18 წლის უნდა იყოს, ხოლო 21-წლიანი ასაკობრივი ზღვარი დგინდება სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის მსურველთათვის. ეს ზღვარი არ ეხება სპორტული და გაზის იარაღის ლიცენზიის მსურველებს. აქამდე ნებისმიერი იარაღის შეძენა 18 წლის პირებს შეეძლოთ. 3. ყველა ის პირი, ვისაც სურს, მოიპოვოს ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების ლიცენზია, ამიერიდან ჩააბარებს სავალდებულო გამოცდას თეორიულ მომზადებასა და იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში. ასევე, შემომწდება პირის ფსიქიკური მდგომარეობა და გაიცემა ე.წ. ფსიქო. 4. ცვლილებები ამტკიცებს იარაღის შენახვის წესსაც. იარაღი უნდა იყოს დაშლილ, განმუხტულ მდგომარეობაში, შესაბამისი წესების დაცვით; შენახვის წესების დარღვევა გამოიწვევს პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. 5. ცვლილება შედის სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლში. მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ეხება იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას, მკაცრდება და ჯარიმა მხოლოდ სანქცია აღარ იქნება. პირს, რომელიც იარაღს უკანონოდ შეიძენს და შეინახავს, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ხოლო 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, რაც იარაღის უკანონო ტარებას ეხება, დანაშაული ნაკლებად მძიმე კატეგორიიდან მძიმე კატეგორიაში გადადის. სანქცია აქაც უქმდება და პირს, რომელიც იარაღს უკანონოდ ატარებს, თავისუფლების აღკვეთა არა 3-დან 5 წლამდე, არამედ 4-დან 6 წლამდე ემუქრება. 6. ცვლილებათა ამ პაკეტში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია 27-ე პუნქტი, სადაც იმ პირთა ჩამონათვალი, ვისაც იარაღის შეძენის უფლება არ აქვს.

იარაღი არ გაიცემა პირზე, ვისაც ნასამართლეობა არ აქვს მოხსნილი სსკ-ს 235-ე, 238-ე, 397-ე, 236-ე, 378-ე, 160-ე, 161-ე, 162-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის გამო. იარაღს ვერც ის პირი მიიღებს, ვინც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 100-ე, 166-ე, 171-ე, 173-ე და 175-ე მუხლები დაარღვია. ეს მუხლები ნარკოტიკების გასაღება-მოხმარებას, ნარკოსაშუალების შემცველი მცენარის დათესვას, ნარკოტიკული მედიკამენტების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებას, წვრილმან ხულიგნობას, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში სმასა და ადამიანების ღირსების შეურაცხყოფას, პოლიციისადმი დაუმორჩილებლობას ან შესაბამისი სტრუქტურის თანამშრომლების მიმართ სხვა ტიპის სამართალდარღვევას გულისხმობს. იარაღს ვერ მიიღებს პირი, ვისაც სხვადასხვა მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, თუნდაც ნასამართლეობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდეს. ასევე სხვა ქვეყნიდან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანებისთვის დეპორტირებული. ვერც ის, ვისზეც შს სამინისტრო ფლობს სარწმუნო ინფორმაციას, რომ სხვა ქვეყანაში ისეთი რამ ჩაიდინა, რაც საქართველოში მის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებას გამოიწვევდა. იარაღს ვერ მიიღებენ პირები, ვინც წარმატებით ვერ ჩააბარეს გამოცდა იარაღის მოხმარების წესების ცოდნაში, ან ვერ გაიარეს პირის სანდოობისა და პიროვნული შესაბამისობის ტესტი. იარაღს ვერ აიღებს პირი, ვისაც არ გააჩნია ცნობა ნარკოლოგიურ და ფსიქონერვოლოგიურ აღრიცხვაზე მისი არყოფნის შესახებ.

რაც შეეხება იარაღის აღების წინაპირობას, საგამოცდო წესები შსს-ში ბარდება და გამოცდის სახეებია: სპორტული, გაზის, სანადირო, სამოქალაქო, ცეცხლსასროლი ირაღის ბრუნვის წესების ცოდნა. ლიცენზიის მსურველი აბარებს ე.წ. სანდოობისა და პიროვნული შესაბამისობის შემოწმებას, რაც ტესტის სახითაა წარმოდგენილი. ამ ტესტირების ვერგავლის შემთხვევაში პირი ვალდებულია, შსს-ს მომსახურების სააგენტოში ფსიქიკური ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა წარადგინოს. უფრო კონკრეტულად, ტესტის შედეგები აჩვენებს პირის მიდრეკილებას აგრესიისადმი, მის ფსიქოლოგიურ მდგრადობას, ემოციურ სტაბილურობასა და თვითკონტროლის უნარს. ტესტირების მიზანი რისკების მინიმუმამდე დაყვანაა. ტესტირების შედეგები უვადოა, ახალი ტესტის ჩაბარება კი ახალი ლიცენზიის აღების შემთხვევაში ხდება საჭირო. ამ შემოწმებისგან თავისუფლდებიან მხოლოდ ის პირები, ვისაც იარაღის ტარების სამსახურეობრივ-საშტატო უფლება აქვთ.

წესების ამ ნაწილში, ალბათ, ყველასთვის ყველაფერი გასაგებია. ზოგიერთი მოქალაქისთვის კი, ვისაც უკვე აქვს იარაღი, ან ახლა აპირებს შეძენას, კითხვის ნიშნები მაინც რჩება. მაგალითად, იმ სიას, ვისაც ტარების უფლება ჰქონდა, სამოქალაქო პირებიც ხომ არ დამატებია, ან პირიქით, ტარების რეგულაცია ხომ არ მკაცრდება და ვისაც აქამდე იარაღის ტარება შეეძლო, ამ უფლებას ხომ არ კარგავს. ან ყველას შეეძლება თუ არა სპორტული, სანადირო და გაზის იარაღის შეძენა, რომლითაც, სურვილის შემთხვევაში, ადამიანის მძიმედ დაზიანება მაინც შესაძლებელია. რამდენიმე კითხვა უშუალოდ საკანონმდებლო ცვლილების ავტორს, **ალექსანდრე ბარამიძეს** გავუგზავნეთ, რომელმაც დეტალები „ვერსიისთვის“ დააზუსტა:

**— ვის ექნება ამიერიდან იარაღის ტარების უფლება — ეს უფლება რჩება მხოლოდ იმ პირებს, ვისაც ისედაც ჰქონდა?**

— იარაღის ტარების უფლება უნარჩუნდება ყველა პირს. თუმცა, აღნიშნული უფლება ჩამოერთმევა იმ შემთხვევაში, თუ იარაღის მფლობელი დაავადდა ფსიქიკურად, გაუჩნდა ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მიერ იარაღით სარგებლობას, სისტემატურად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, გახდა ქრონიკული ლოთი, ნარკომანი ან ტოქსიკომანი, მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა გამამტყუნებელი განაჩენი ან არ შეასრულა დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

**— გამოცდებს ის ადამიანები აბარებენ, ვინც სროლა ისედაც იცის, პოლიციელი და ა.შ. გარდა, ადმინისტრაციული სანქციის მოხსნისა და თავისუფლების აღკვეთის ვადის გაზრდისა, გამკაცრებული კონკრეტულად რა არის?**

— პროექტის ძირითად მიზანს ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, შენახვისა ან ტარების ნებართვის მაძიებელ, თუ ასეთი ნებართვის მქონე პირთა მიმართ რეგულაციების გამკაცრება წარმოადგენს. ასევე, მისი მიზანია ევროპის სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკისა და იარაღის სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების გაზიარებაც. კანონში შეტანილი ცვლილებებით რთულდება სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის ნებართვის მოპოვება. კერძოდ, პირი ლიცენზიას ვერ მიიღებს, თუ ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული, ან იგი მსჯავრდებული იყო რიგი დანაშაულების გამო, რომელიც, ძირითადად, ჩადენილია ძალადობრივად ან იარაღის გამოყენებით და ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების შემდეგ გასული არ არის გარკვეული პერიოდი. ეს პერიოდი კი იზრდება დანაშაულის კატეგორიის შესაბამისად. რაც შეეხება იმას, თუ რატომ სჭირდებათ პოლიციელებს, რომლებმაც სროლა ისედაც იციან, გამოცდის ჩაბარება, მინდა გითხრათ, რომ ეს ახალი წესები პოლიციელებს საერთოდ არ შეეხება, რადგან დამატებით რეგულირებას ექვემდებარება მხოლოდ ის, ვისაც ლიცენზიის მოპოვება სამოქალაქო და არა სამსახურებრივ-საშტატო იარაღზე სურთ, რომლითაც სარგებლობენ პოლიციელები.

**— როგორც ითქვა, სანადირო და სპორტული იარაღის შეძენასთან მიმართებაში კანონი ამდენ ბარიერს არ შექმნის. ეს ნაწილი თუ შეიცვლება კანონპროექტში, როგორ და შეიძლება თუ არა, ამან დამატებითი საფრთხეები შექმნას?**

— კანონის მოქმედი რედაქციით, პირი ლიცენზიას ვერ მიიღებს, თუ არ შესრულებია 18 წელი. კანონპროექტით დგინდება განსხვავებული ასაკობრივი ზღვარი ცალკეული შემთხვევების მიმართ. თუმცა, ეს განსხვავებული ასაკობრივი ზღვარი არ გავრცელდება მათზე, ვისაც ლიცენზიის მოპოვება სპორტულ და სანადირო იარაღზე სურს.

სხვათა შორის, დღევანდელი რედაქციით, იარაღი შეიძლება მწყესმა, ან სოფლად მცხოვრებმა ადამიანმა ვერ აიღოს, ვისაც სანადირო თოფი, რეალურად, ყველაზე მეტად სჭირდება, თუნდაც ნადირისგან თავდასაცავად. თუმცა, ამ იარაღით ადამიანის დაზიანება, რიგ შემთხვევაში კი მოკვლაც შესაძლებელია. ამ გაურკვევლობის ახსნა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, **ირაკლი სესიაშვილს** ვთხოვეთ: **„მართლაც სერიოზული პრობლემაა სანადირო და სპორტული იარაღის ტარების საკითხი. კი ბატონო, მხარს ვუჭერ სიმკაცრეს, მაგრამ ე.წ. ხელის ანუ მოკლელულიანი იარაღის შემთხვევაში, რომლის ფარულად ტარება შეიძლება და რის გამოც ძირითადად, კრიმინალია გამოწვეული. სულ სხვა მიდგომაა საჭირო სანადირო თოფებზე — ჩვენი მოსახლეობის 55% სოფლად ცხოვრობს და არის ისეთი სპეციფიციკური პროფესიები, როგორიც, ვთქვათ, მწყემსია. მე რომ მას თოფი არ მივცე, შეიძლება, ნადირმა დაგლიჯოს. თუმცა, ვერც იმის გარანტიას მოგცემთ, რეგისტრირებული იარაღით კაცი ქუჩაში რომ ივლის, ეს მისი შემაკავებელი რამდენად იქნება. მოსალოდნელი კრიმინალისგან თავდაცვის სრული გარანტია არ არსებობს. საუბარია რისკების შემცირებაზე, პრევენციის არსებობაზე და ვფიქრობ, ეს რეგულაცია ამას მოახერხებს. თუ ეს კანონი იმუშავებს, 20 წლის მერე იმ ადამიანთა რიცხვიც შემცირდება, ვისაც იარაღის შეძენის სურვილი საერთოდ გაუჩნდება“.**

რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვისაც იარაღი უკვე შეძენილი აქვს, მათ კანონი საკუთრების უფლებას არ დაურღვევს და ამ იარაღს არ ჩამოართმევენ. ვადაგასული ლიცენზიის მქონე იარაღის სახლში შენახვის შემთხვევაში კი, უბრალოდ, ლიცენზიის განახლება და რამდენიმე პროცედურის გავლაა საჭირო. ფაქტი კი ისაა, რომ კანონი ადმინისტრაციულ სანქციებს, ფაქტობრივად, აუქმებს და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში დამნაშავეებს პირდაპირ დაჭერით ემუქრება.

---

ვერსიანიუსი

## შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს პოლონეთის დელეგაციამ სახანძრო აღჭურვილობა გადასცა



შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს, დამატებითი აღჭურვის მიზნით, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის სახანძრო სამსახურის მთავარმა სკოლამ ჰუმანიტარული ტვირთის სახით საჩუქრად სახანძრო აღჭურვილობა გადასცა. ტვირთის მიღების ცერემონია შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ბაზაზე გაიმართა.

ღონისძიებას შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დირექტორი ზვიად ქაწაშვილი, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეები — გიორგი გაზდელიანი და თეიმურაზ კორძაია, პოლონეთის ელჩი საქართველოში ანჟეი ჩიეშკოვსკი, ვარშავის სახანძრო სამსახურის მთავარი სკოლის რექტორი, გენერალი რიჩარდ დაბროვა, თანამშრომლები რაფაელ მატუსკევიჩი და მარტინ ლაფაჩი, ამავე სკოლის ქიმიური და ეკოლოგიური დეპარტამენტის დირექტორი ვლადისლავ სალამონოვიჩი, ასევე, ვარშავის სახანძრო აღჭურვილობის კომპანიის წარმომადგენლები დომინიკ მარკოვსკი და ვლადიმერ ჩლებოვსკი დაესწრნენ.

პოლონეთის დელეგაციამ შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს სპეციალური აღჭურვილობა: სახანძრო ჩაფხუტი, სახანძრო ფეხსაცმელი, სახანძრო ხელთათმანი, სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ტანსაცმელი, სასიგნალო აღჭურვილობა და ინსტრუმენტების ნაკრები გადასცა. ტვირთის მიღების დოკუმენტს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დირექტორმა ზვიად ქაწაშვილმა, ხოლო პოლონეთის მხრიდან — ვარშავას სახანძრო სამსახურის მთავარი სკოლის რექტორმა, გენერალმა რიჩარდ დაბროვამ. აღნიშნული სახანძრო აღჭურვილობა ხელს შეუწყობს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს უსაფრთხოების და ასევე, მოსახლეობის დაცულობის უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

*„ვერსიანიუსი“*

ოპოზიცია

# ფიქრია ჩიხრაძე: „ნაციონალურ მოძრაობას საკუთარი ძალების შემოწმება სურს“



## რატომ არ უერთდებიან ახალი მემარჯვენეები 15 ნოემბერს დაგეგმილ აქციას

რუსუდან შელია
557-100-768

**ნაციონალური მოძრაობა დაანონსებული 15 ნოემბრის აქციისთვის უკვე ემზადება. ორგანიზატორთა ვარაუდით, აქცია, რომლის ძირითადი იდეა რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის შეთავაზებული შეთანხმების გაპროტესტებაა, ბოლო ორ წელიწადში გამართულ აქციებს შორის ყველაზე მასშტაბური იქნება. რაც მთავარია, ყოფილი სახელისუფლო გუნდი 15 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებსაც ეპატიჟება. პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციების პარალელურად, საპარლამენტო ოპოზიცია რეგიონებშიც აქტიურად ემზადება. პარალელურად, ქვეყნის პირველი პირები ნაციონალური მოძრაობის პროვოკაციაზე საუბრობენ — პრემიერის ინფორმაციით, მოსახლეობას 15 ლარს სთავაზობენ და თბილისის ცენტრში მასობრივი დაპირისპირებისთვის ემზადებიან. ამ მიმართულებით საქმეც აღძრულია და მას გრიფი „საიდუმლო“ ადევს. „ვერსიასთან“ დაანონსებულ პოლიტიკურ პროვოკაციებსა და არასაპარლამენტო ოპოზიციის პოზიციაზე ახალი მემარჯვენეების ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე საუბრობს.**

— 15 ნოემბერს, ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილ აქციას ახალი მემარჯვენეები არ შევუერთდებით. რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ღია ანექსიის გაპროტესტება სამოქალაქო ინიციატივა რომ ყოფილიყო, აქციაში მონაწილეობაზე კიდევ დავფიქრდებოდით.

**— როცა ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიას რუსეთი ღიად ისაკუთრებს, საერთო სახალხო პროტესტის დაფიქსირება რატომ ვერ ხერხდება და რატომ იყოფა აქციები პარტიული ნიშნით?**

— მიზეზი ისაა, რომ 15 ნოემბრის აქცია ერთი პოლიტიკური ძალის საპროტესტო გამოსვლად გაფორმდა, რასაც მიხეილ სააკაშვილის განცხადებები და მოწოდებებიც დაერთო. ხელისუფლებას უშიშროების საბჭოს დანიშვნაც ამიტომ შევთავაზეთ, რადგან მნიშვნელოვანია არამხოლოდ ხელისუფლებას, საზოგადოებასაც ამ საკითხზე პრინციპული და ჩამოყალიბებული პოზიცია ჰქონდეს. საზოგადოებაში კი ყველას ვგულისხმობ — ოპოზიციას, სამოქალაქო სექტორსა და მოსახლეობას.

**— სად არის საზოგადოების პრინციპული პოზიცია, რას სთავაზობთ მოსახლეობას 15 ნოემბრის ალტერნატივად?**

— არ მგონია, აფხაზეთის ანექსიის აქციებით გაპროტესტება სასურველი იყოს. ქვეყნის გარეთ ისედაც დინამიური პროცესები მიდის, ამიტომ შიგნით ვითარების დაძაბვა გამართლებული არ არის. ამას გარეძალები სათავისოდ გამოიყენებენ. უმჯობესია, რუსეთის ნაბიჯებს პრინციპული და ჩამოყალიბებული ნაბიჯებით ხელისუფლებამ უპასუხოს. მმართველ გუნდს ამიტომაც შევთავაზეთ ჟენევის ფორმატის საგანგებოდ აფხაზეთის საკითხზე დანიშვნა. ასევე აუცილებელია, ამ ფონზე რუსეთთან სხვა ტიპის მოლაპარაკების შეჩერება. მათ შორის, აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებას ვგულისხმობ, რომელიც რეალურად, ჟენევის ფორმატის ჩამნაცვლებლის ფუნქციას ასრულებს. ასეთი საგარეო პოლიტიკა საქართველოს ინტერესებს არ ემსახურება. ჟენევის ფორმატში, როგორც აფხაზური და ოსური, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, მსოფლიოში გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები — ეუთო და გაერო-ც მონაწილეობენ. ასე რომ, ამ მიმართულებით ყურადღების მოდუნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სერიოზული შანსის დაკარგვას ნიშნავს.

**— თუ ეს არის თქვენი პარტიის ძირითადი მოთხოვნა, ისიც განმარტეთ, რას შეცვლის რუსეთის გეგმებში აფხაზეთის საკითხზე ჟენევის მოლაპარაკების საგანგებოდ დანიშვნა?**

— შესაძლოა, ეს ფორმატი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში გადამწყვეტ როლს არ ასრულებს, მაგრამ ეს ფორმატი სტატუსქვოს შენარჩუნებას უზრუნველყოფს, რაც, ამ ეტაპზე, საკმაოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამ ფორმატმა განაპირობა არაღიარების პოლიტიკის წარმატება. ყირიმში ელვისსისწრაფით განვითარებული მოვლენები — ომი, ოკუპაცია და ანექსია, დროში გაწელილად აფხაზეთში მეორდება. არადა ხელისუფლება გვარწმუნებდა, აფხაზეთში „ყირიმის“ განმეორება რუსეთს არ აწყობსო. ამ განცხადებების შემდეგ, პრემიერის შეთავაზებაც შედეგს ვერ გამოიღებს. აფხაზური საზოგადოება ჯერ ამისთვის მზად არ არის. ჯერ აფხაზები უნდა დავარწმუნოთ, რომ მათი თვითმყოფადობის მტრები, საქართველოში კი არა, რუსეთშია; ასევე გაურკვეველი რუსული პოლიტიკის ნაცვლად, ევროპული მომავალი უნდა დავანახოთ. ამის დროც დადგება, თუ სწორად ვიმოქმედებთ და საერთაშორისო მექანიზმს მაქსიმალურად გამოვიყენებთ.

**— 15 ნოემბრის აქციას დავუბრუნდეთ. პრემიერის ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობა მოსახლეობას რუსთაველის გამზირზე 15 ლარის სანაცვლოდ ეპატიჟება და პროვოკაციებისთვის ემზადება. ეს კიდევ ერთი მითია „თბილისური მაიდნის“ შესახებ?**

— ახლა დაპირისპირების ან პროვოკაციული ფონის შექმნა არავის ინტერესებში შედის. არამგონია, სახელისუფლო წრეში ისტერიკაც გამართლებული იყოს. თანაც თუ ვინმე რამეს გეგმავს, ამის მოგვარება, პირველ რიგში, ხელისუფლებას შეუძლია. ვფიქრობ, ნაციონალურ მოძრაობას 15 ნოემბრის აქციით საკუთარი ძალების შემოწმება სურს, მაგრამ თუ რუსთაველის გამზირზე ფიზიკური დაპირისპირება მაინც მოხდება, ყველას უნდა ახსოვდეს, ამით სხვის წისქვილზე დავასხამთ წყალს. ზოგადად, ხელისუფლებას ასეთ შეთქმულებებზე საუბარი ახასიათებს, მაგრამ ჯერჯერობით, გავრცელებული ინფორმაციები რეალობასთან ახლოს არ ყოფილა. იმედი მაქვს, 15 ნოემბერსაც ასე მოხდება.

**— ექსპრეზიდენტი არ მალავს, ხელისუფლების შეცვლა არჩევნებით შეუძლებელიაო, რაც ავტომატურად, რევოლუციის დაანონსებას ნიშნავს. თქვენ ასე არ ფიქრობთ?**

— მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ კრიტიკულად ვარ განწყობილი, ამ ქვეყნის ერთადერთი მონაპოვარი ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლაა, ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საქართველოში ხელისუფლება ქუჩის აქციებით აღარ შეიცვალოს. მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკაში დაბრუნება უნდა, მაგრამ პირველ რიგში, ასეთი განცხადებებით საკუთარ პარტიას უქმნის პრობლემებს. დასავლურ ორიენტაციასაც მიხეილ სააკაშვილი ერთგვარ გამოწვევად გადაექცა, რადგან იგი ცდილობს, საკუთარი პერსონა დასავლეთის ერთადერთ წარმომადგენლად წარმოაჩინოს. ჩემი აზრით, საპარლამენტო არჩევნები დანიშნულ ვადაში უნდა ჩატარდეს, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, ქართულ პოლიტიკაში სრულიად ახალი რეალობა მივიღოთ.

**— ახალ რეალობას თავად „ქართული ოცნება“ ხომ არ შექმნის? თავდაცვის უწყებაში მაღალჩინოსნებისთვის ბრალის წაყენება პერსონალურად ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლად შეფასდა.**

— ადრე თუ გვიან, კოალიციაში ეს საკითხი რომ დადგებოდა, ყველამ იცოდა, რადგან შეუძლებელია, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებისა და გემოვნების პარტიებმა ასეთ გაერთიანებაში დიდხანს იარსებონ. ირაკლი ალასანიას უწყებაში მაღალჩინოსნების წინააღმდეგ საქმის აღძვრა, „თავისუფალი დემოკრატების“ პარტიულ ყრილობას დროში საეჭვოდ დაემთხვა. ამიტომაც გამძაფრდა ეჭვი კოალიციაში სხვადასხვა პერსონები ხომ არ იდევნებიან?!

**— რესპუბლიკური პარტიის განცხადება და მთავრობის ღია კრიტიკა ამ კონტექსტში განსახილველია?**

— რესპუბლიკელების განცხადებაც საკმაოდ სერიოზული სიგნალი იყო, უბრალოდ, საზოგადოებამ სათანადო ყურადღება არ მიაქცია და პროცესებში ჩაიკარგა. ორი წლის განმავლობაში სწორედ რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებთან“ გვქონდა პრეტენზიები, რომ ისინი კოალიციას დასავლური ორიენტაციის მქონე ძალის შეფერილობას აძლევდნენ. ვფიქრობ, კოალიციის გამოაშკარავების დრო დადგა. ვნახოთ, რამდენად აიტანს ჭრელი გაერთიანება პარტიების აზრთა სხვადასხვაობას.

**— დავაზუსტოთ — მითები რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ კოალიციიდან გასვლის შესახებ სისრულეში „ქართული ოცნების“ პირველ პირებს მოჰყავთ?**

— ამის პირდაპირ თქმა რთულია, პროცესი რომ დაიწყო, აშკარაა.

ექსკლუზივი

# გუბაზ სანიკიძე დუმილს არღვევს

*მე-3 გვერდიდან*

**— ვაცადოთ აფხაზეთს, როგორ გადაიჩეხებაო, ეს სწორია? რატომ არ უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო ზეწოლის ბერკეტები რუსეთზე, აფხაზეთს კი უნდა დავანახოთ, რომ სჯობს, დემოკრატიული სახელმწიფოს ნაწილი იყოს, ვიდრე რუსეთის. ასე არაა?**

— ახლა ნებისმიერი ჩარევა შეიძლება ჩვენს წინააღმდეგ უფრო შემოტრიალდეს. აფხაზეთში მიმდინარე პროცესი მიქცევა-მოქცევასავითაა. ანქვაბი გადადგა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მის უკანმდგომი ჯგუფი გაჩერებულია. ამ საკითხზე მეტის თქმა არასწორია. რაც შეეხება რუსეთთან ჩვენს ურთიერთობას, კარასინი-აბაშიძის შეხვედრასაც ვემხრობი. რაც უნდა დაძაბული იყოს ორ ქვეყანას შორის ვითარება, ერთი არხი მაინც უნდა არსებობდეს. ერთი ქართველი და ერთი რუსი სადღაც რაღაცაზე უნდა ლაპარაკობდნენ, თუნდაც უაზროდ და უშედეგოდ, ამ ეტაპზე.

**— და არ ვისაუბროთ ლარსის გამშვებ პუნქტთან მიმდინარე პროცესებზე, საზღვრის გადმოწევაზე, აფხაზეთის ჩაყლაპვაზე, დევნილების დაბრუნებაზე?**

— უნდა ვისაუბროთ, მაგრამ ამ საუბრებს, ჯერჯერობით, შედეგი არ ექნება. ზურაბ აბაშიძეს კი არც არასოდეს გამოუცხადებია, რომ პოლიტიკაზე საუბრობს.

**— როგორც ვიცი, რუსეთში ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობს, მათთან რაიმე კონტაქტი აქვს სახელმწიფოს?**

— დიახ, იქ ჩვენი 700 000 მოქალაქეა და ჩვენს შორის არანაირი კავშირი არ არის. ეს საკითხი ხელისუფლების წინაშე უკვე დავაყენე და ახლა განხილვის პროცესშია — რას ვუშვრებით იქ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს, უარს ვამბობთ მათზე თუ არა-მეთქი. უფრო კონკრეტულად მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— მაშინ ქუთაისზე ვილაპარაკოთ — თქვენი განცხადება იყო, ქუთაისი კავკასიის ინტელექტუალურ დედაქალაქად უნდა იქცესო, მაგრამ ვიდრე ამ სიმაღლეებს დავიპყრობთ, სასმელი წყლისა და კანალიზაციის პრობლემა მოგვარდა მეორე დედაქალაქში?**

— სასმელი წყალი დღემდე ბევრი დიდი ქალაქის პრობლემაა. ქუთაისში უკვე დავიწყეთ პროექტი და ქალაქის წყალმომარაგების სისტემა მთლიანად 2017 წელს დასრულდება. ბევრი ქუჩა გადათხრილია, მაგრამ ადგილობრივები ამ დისკომფორტს იტანენ. გამზადებულია სანიაღვრე სისტემებისა და კანალიზაციის პროექტიც. ისე, სააკაშვილი ბევრს არ მოსწონდა, მაგრამ მისი მეთოდებით გვინდა ვიცხოვროთ, სააკაშვილივით ყოველდღე ვატარო ბრიფინგები და ვიძახო, გაიჭრა 300 მეტრი, დაემატა 200-მეთქი?

**— ეს უკვე საკითხის უტრირებაა — დაგროვილ კითხვებს რაღაც პერიოდულობით არ უნდა უპასუხოთ და პიარის პრობლემა რომ გაქვთ, ესეც არ უნდა აღიაროთ?**

— ეს პრობლემა ნამდვილად არის, მაგრამ ძალიან სუსტი ვარ ამ საქმეში. არ მჭირდება „პიარშიკი“. არ მსიამოვნებს იმის ძახილი, რა გავაკეთე, პრიმიტივიზმის ნიშანი მგონია. ჩემი მიზანი რეიტინგის აწევა არ არის.

**— ამ პრივიტივიზმზეა დამოკიდებული თქვენი მომავალი დეპუტატობა.**

— ამ სკამზე ჯვარი არ დამიწერია. მეოთხე მოწვევის დეპუტატი ვარ და ბოლო ბოლო, დამოუკიდებლობის აქტზე ხელი მაქვს მოწერილი. მაშინ 23 წლის ბიჭი ვიყავი და ათასობით ადამიანი საქართველოში ამ პატივს ჩემზე მეტად იმსახურებდა, მაგრამ ეს ჩემი ბედისწერა აღმოჩნდა, ამიტომ დღეს მთავარია, საქმე გაკეთდეს და ამას ვინ მიიწერს, მნიშვნელობა არ აქვს. „სამზარეულოს რეიტინგის“ შენარჩუნება არ გამომივა, ამაში მაგარი ვერ ვიქნები.

**— ნაციონალებზეც გკითხავთ — 15 ნოემბერს დიდი აქცია დაანონსდა რუსთაველზე. ხელისუფლება უკვე ამბობს, რომ პროვოკაციებს უნდა ველოდეთ. ეს „თბილისური მაიდნის“ მცდელობაა?**

— არა მგონია... ეს შიში და საუბრები, ნაციონალები უკან არ მობრუნდნენო, სისულელეა. ჩემი მტერი და დამაწყევარი მობრუნდეს უკან ისე, ესენი რომ მობრუნდებიან. საქართველოში ყოფილი ხელისუფლებები ველარ ბრუნდებიან. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ, ასეა. ჩაატარონ ეს აქცია, 5 წუთითაც არ შევიწუხებ თავს იმაზე ფიქრით, რამე არ მოხდეს-მეთქი. თუმცა როგორც კი ვინმე რაიმე ანტისახელმწიფოებრივის გაკეთებას შეეცდება, ჩვენი სტრუქტურები ამას მაშინვე ალკვეთენ. ჩემი პოზიცია ასეთია — დღეს შიგნიდან ქვეყანაში ვითარების აფეთქება გამორიცხულია. ნაციონალურ მოძრაობას ამის რესურსი არ აქვს და სხვათა შორის, ნაცებშიც არიან ისეთები, ვინც ამაზე არ წავლენ. მიხეილ სააკაშვილი კი მომთაბარე პოლიტიკოსია, რომელსაც ბინადრობის ადგილი არ აქვს და ეთიოპიის იმპერატორივით, ივლის ასე და იქნება. რაც ნაკლებ ყურადღებას მივაქცევთ და ნაკლებად ვინერვიულებთ მასზე, მით უკეთესი. რამდენჯერაც სააკაშვილი გამოჩნდება, თუ იმდენჯერ რყევას დავიწყებთ, ეს სახელმწიფო საერთოდ არსებობის ღირსი არ ყოფილა.

**— მტრის ხატს მისგან „ოცნება“ ხელოვნურად ქმნის!**

— დაანებეთ თავი ამ „ოცნებას“. სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ იყო, მაშინ არ მეშინოდა მისი და ახლა რატომ უნდა მეშინოდეს?! გაიცინეთ, ხალხო, ბოლო ბოლო მის ინტერვიუებზე. სააკაშვილმა ოპოზიციაში ყოფნა არ იცის, მას ნახევარმა მსოფლიომ ხელისუფლება ლანგრით მიართვა. ოპოზიციაში ყოფნა ხვადი მგლის ცხოვრების წესს ნიშნავს და რა ეტყობათ ამათ ამ წესის? ამიტომ ვამბობ, ჩაატარონ ეს მიტინგი, პრობლემა არ არის. ნაციონალებს კი ვურჩევდი — თუ შენ ასე გწადია რუსეთთან ომი, შენს ქვეყანას რომ არ შეუქმნა პრობლემა, გადადი უკრაინაში, აიღე ავტომატი და იბრძოლე რუსებთან, თუ ასეთი მაგარი ბიჭი ხარ. თუ სროლა და კაცისკვლა არ შეგიძლია, წადი, ზურგში იმუშავე, კარტოფილი გაფრცქვენი და საჭმელი გააკეთე. ბევრი საშუალება არსებობს, უკრაინელებს დაეხმარო, მაგრამ შენი წადილის გამო შენს ქვეყანას საფრთხე არ უნდა შეუქმნა!



# სურსათის უვნებლობის ახალი რეგულაცია სასაკლაოებისა და რძის საწარმოებისთვის

## რას ნიშნავს HACCP-ის სისტემა და ემუქრება თუ არა 1 იანვრიდან დახურვა კომპანიებს, რომლებიც მას არ დანერგავენ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2015 წლიდან 1 იანვრიდან, სასაკლაოებისა და ნედლი რძის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების — HACCP-ის სისტემის დანერგვა აუცილებელი გახდება. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ტიპის საწარმოებს მაშინვე დახურავენ, მაგრამ ამ კომპანიების მენეჯმენტმა HACCP-ის სისტემის დასანერგად, შესაბამისი სამუშაოები 2015 წლის 1 იანვრიდან უნდა დაიწყონ. HACCP-ის სისტემა სავალდებულო არ არის იმ ბიზნესოპერატორებისთვის, რომლებიც პირველად პროდუქციას აწარმოებენ.**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას ეკონომიკური მიმართულებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი განუყოფელი ნაწილია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება“, რომელიც მსოფლიოს ყველაზე დიდ ბაზარზე წვდომის საშუალებას გვაძლევს. ევროკავშირში, დაახლოებით, 500 000 000 ადამიანი ცხოვრობს, რომელთა მსყიდველუნარიანობა ყველაზე მაღალია. პროდუქცია, რომელსაც ეწერება, რომ „წარმოებულია საქართველოში“, ევროკავშირის ბაზარზე თავისუფლად მოხვდება.

ასოცირების ხელშეკრულებაში მთავარი მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, რაც ნიშნავს, რომ ბაზარზე გატანილი საქონელი უსაფრთხო და უვნებელი უნდა იყოს. ეს ბიზნესისთვის, გარკვეულწილად, ტვირთი იქნება, რადგან ასეთი რეგულაცია დანახარჯსაც გულისხმობს. თუმცა, საქონელი კონკურენტუნარიანიც გახდება და მაღალ სტანდარტებსაც დააკმაყოფილებს, რაც საბოლოოდ, ქართულ ეკონომიკას გაზრდის. „ჰასპის“ სისტემის დანერგვაც ევროკავშირის რეგულაციაა, რადგან სურსათის უვნებლობასა და უსაფრთხოებას უკავშირდება.

საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, ის სასაკლაოები და ნედლი რძის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც „ჰასპის“ სისტემაზე არ გადავლენ, 2015 წლის 1 იანვრიდან დაიხურებიან. სურსათის ეროვნული სააგენტოს, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსმა, **კახა სოხაძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ 1 იანვრიდან არც ერთი საწარმოს დახურვა არ იგეგმება.

**„სასაკლაოებისა და ნედლი რძის გადამამუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებს ინტენსიურად ვაფრთხილებთ, HACCP-ის სისტემა დანერგონ. ეს გრძელვადიანი პროცესია. შესაბამისად, 2015 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს კანონმდებლობაში HACCP-ის სისტემის აღიარების ნება შემოდის. აღიარება ერთწლიანი პროცედურაა და სისტემაც, სწორედ ამ ერთ წელში უნდა დაინერგოს. საწარმოები პერმანენტულად გაკონტროლდება. თუ ამ ერთ წელში გავარკვევთ, რომ სასაკლაოები და ნედლი რძის გადამამუშავებელი საწარმოები სისტემის დანერგვაზე არ ზრუნავენ, გარკვეულ შეზღუდვებზე ვიფიქრებთ“.**

კახა სოხაძის განმარტებით, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა, სურსათის უვნებლობის თანამედროვე მიდგომას ნიშნავს. სასაკლაოებსა და ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებში HACCP-ის დანერგვას, სურსათის ეროვნული სააგენტო გააკონტროლებს. მისი წარმატებულად განხორციელების შემდეგ, სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებს და დაადასტურებს, რომ ესა თუ ის საწარმო სურსათის უვნებლობის წესებს იცავს:

**„საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დანერგვის შემდეგ, სერტიფიცირება სავალდებულო არ არის. სისტემის დანერგვა ეხება ბიზნესოპერატორს, რომელიც შიდაბაზარზე მუშაობს. თუ მეწარმეს სურს, საკუთარი პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე განახორციელოს, მონიტორინგი ევროპელმა ექსპერტებმა უნდა ჩაატარონ, რის შემდეგაც საწარმოს აღიარების შესაბამისი კოდი და ნომერი მიენიჭება და პროდუქციას ევროკავშირში გაიტანს“.**

საქართველოს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიხედვით, HACCP-ის სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასეა გაწერილი: ა) ნებისმიერი საფრთხის იდენტიფიცირება მისი თავიდან აცილების, აღმოფხვრის, ან სათანადო დონემდე შემცირების მიზნით; ბ) კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა იმ ეტაპზე, როდესაც აუცილებელია განხორციელდეს კონტროლი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აღმოსაფხვრელად, ან სათანადო დონემდე შესამცირებლად; გ) კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე კრიტიკული ზღვრების დადგენა საფრთხის თავიდან აცილების, აღმოფხვრის, ან სათანადო/მისაღებ დონემდე შემცირების მიზნით; დ) კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე ეფექტური მონიტორინგის დანერგვა და განხორციელება; ე) მაკორექტირებელი ქმედებების განსაზღვრა იმ შემთხვევისათვის, როდესაც მონიტორინგით დგინდება, რომ კრიტიკული საკონტროლო წერტილი დადგენილ კრიტიკულ ზღვარს სცილდება; ვ) პროცედურების შემუშავება ამ ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების რეგულარულად შესამოწმებლად; ზ) „ა“ და „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების შესახებ ჩანაწერების წარმოება.

კომპანია „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“ ბაზარზე 1997 წლიდან ფუნქციონირებს. სამხრეთ კავკასიაში „სანტე“, რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი პირველი კომპანიაა, რომელმაც საერთაშორისო ISO — 9001 კატეგორიის სერტიფიკატი მიიღო. მას HACCP-ის სერტიფიკატიც აქვს, რომლითაც დადასტურდა, რომ „სანტე“ კვების პროდუქტების უსაფრთხოების მართვის სერტიფიცირებული სისტემის მფლობელია. კომპანია ფლობს ISO — 22 000 კატეგორიის სერტიფიკატსაც, რომელიც ადასტურებს, რომ „სანტეს“ მიერ წარმოებული კვების პროდუქტების უსაფრთხოების ნორმები მკაცრადაა დაცული.

რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „მილკო ფუდის“ (ყოფილი „ეკო ფუდი“) ხარისხის მართვისა და სურსათის უვნებლობის მენეჯერმა, **თამაზ მახარაშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ISO — 9001, ISO — 22 000 კატეგორიებისა და HACCP-ის სერტიფიკატებისთვის მუშაობა 2006 წლიდან დაიწყეს. სამივე საერთაშორისო სერტიფიკატი კი „მილკო ფუდმა“ 2007 წელს მიიღო: **„საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დანერგვა საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურაა. მისი დანერგვა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღება არ ნიშნავს, რომ პროდუქცია აუცილებლად ევროპის ბაზარზე უნდა გაიტანოთ. ეს სურსათის უვნებლობის სისტემაა, რაც ნებისმიერ სერიოზულ კომპანიას შიდა ბაზარზეც სჭირდება. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რას მიირთმევს, როგორია პროდუქციის შემადგენლობა და რამდენად უსაფრთხოა იგი. მეტიც, „მილკო ფუდის“ პროდუქცია ექსპორტზე არ გადის, რადგან ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქტების შემადგენლობაში ცოცხალი რძემჟავა შედის — ჩვენი პროდუქცია მოკლევადიანია“.**

ISO — 9001, ISO — 22 000 კატეგორიებისა და „ჰასპის“ სერტიფიკატებს რძის პროდუქტის მწარმოებელი კომპანია „სოფლის ნობათიც“ („ვიმბილდან ჯორჯია“) ფლობს. რაც შეეხება „ქობულეთურს“, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ ეს კომპანია საერთაშორისო ISO სისტემის დანერგვაზე, რაც თავისთავად, „ჰასპის“ სისტემასაც გულისხმობს, უკვე მუშაობს.

რძის პროდუქტის მწარმოებელი კომპანიების მსგავსად, საერთაშორისო სისტემა ხორცპროდუქტის საწარმოებშიც — „მითანა“, „ნიკორა“ — დანერგილია. მართალია, რძისა და ხორცის ბაზრების ლიდერ კომპანიებს ამ მხრივ პრობლემები არ ექნებათ, მაგრამ საინტერესოა, რა პრინციპით გადავლენ საერთაშორისო სისტემაზე წვრილი კომპანიები? სუპერმარკეტებში დედოფლისწყაროს, სიღნაღის, წალკის რაიონებში დამზადებული მაწონი, არაჟანი, ხაჭო და ყველიც გვხვდება. „ჰასპის“ სისტემა ამ პატარა, ხშირ შემთხვევაში, უსახელო საწარმოებმა როგორ უნდა დანერგონ?

სურსათის ეროვნული სააგენტოს, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსმა, კახა სოხაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ საქართველოს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის თანახმად, ფიზიკურ პირებსა და ფერმერებზე სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება. შესაბამისად, მათ ამ სისტემის დანერგვა არ მოუწევთ.

# „წყალი მარგებელის“ სოციალური პროექტი 2015 წელსაც გაგრძელდება

**„წყალი მარგებელის“ პროექტი — „განათლებული მომავლისათვის“, სოციალურ ხასიათს ატარებს. პროექტი კონკრეტულად ჩოხატაურის რაიონის მოსწავლეების განვითარებაზეა ორიენტირებული და 2014-2015 სასწავლო წლებშიც განხორციელდება. „განათლებული მომავლისათვის“ უკვე მესამე წელია იღებს სტარტს და წლიდან წლამდე, მასში უფრო მეტი მოსწავლე ერთვება.**

კომპანია „წყალი მარგებელი“, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიდან, ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე, კერძოდ, ინგლისური ენის გამოცდიდან სამ, ყველაზე მაღალი შედეგის მქონე მოსწავლეს ირჩევს. მაღალი შედეგის მქონე, შერჩეულ მოსწავლეებს კი დიდ ბრიტანეთში, ორკვირიანი სასწავლო კურსით აჯილდოვებს.

**„ეს ჩვეულებრივი მოვლენა ვერ იქნებოდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ არა კომპანია „წყალი მარგებლის“ არაჩვეულებრივი სიურპრიზი. კომპანიამ წარმატებული მოსწავლეები დიდ ბრიტანეთში, საზაფხულო სკოლაში გაგვიშვა. სწავლის, მოგზაურობისა და ყველა სხვა ხარჯი კი თავად გადაიხადა“,** — ასე იხსენებენ შარშანდელ წელს, ბრიტანეთიდან დაბრუნებული, წარჩინებული მოსწავლეები.

„წყალი მარგებელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, **ვიქტორია ქიქკოს** განცხადებით, პროექტი — „განათლებული მომავლისათვის“, უკვე მესამე წელია ტარდება და კომპანიის სოციალური მიმართულების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს: **„თანამედროვე სამყაროში, პიროვნების თვითრეალიზებისა და საკუთარი უნარების უკეთ წარმოჩენისთვის, ინგლისური ენის მაღალ დონეზე დაუფლება ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ, რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, თანაბარი შესაძლებლობები მიგვეცა. შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წელსაც, ჩოხატაურის რაიონის მოსწავლეებს, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის საშუალებით, შესაძლებლობა ექნებათ, მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი ცოდნა. საბოლოოდ კი საშუალება მიეცემათ, დიდ ბრიტანეთში, ინგლისური ენის დონის ასამაღლებელ კურსებზე გაემგზავრონ. მოვუწოდებთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების დირექტორებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადისთვის მზადება დღეიდანვე დაიწყონ, რათა მომავალში, ამ პროექტში გამარჯვების უფრო მეტი შანსი ჰქონდეთ. კომპანიის სახელით კი თითოეულ მათგანს წარმატებას ვუსურვებთ“.**



## პრობლემა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# საყდრისი-ყაჩაღიანის ქართულ-გერმანული სამეცნიერო ექსპედიციის ხარჯები გასაიდუმლოებულია

## აფეთქებდნენ თუ არა გვირაბს ექსპედიციის დროს



**2004-2011 წლებში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ბოხუმის სამთო მუზეუმისა და ბოხუმის რურის ერთობლივი პროექტით, საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე სამეცნიერო ექსპედიციები მოეწყო. ექსპედიციის სპონსორები იყვნენ „ფოლკსვაგენის ფონდი“, გერმანიის სამეცნიერო ფონდი და საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრი. რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა სამეცნიერო ექსპედიციებზე? კონკრეტულად, რა სამუშაოები ჩატარდა საჯილდაო ქვადქცეულ ბორცვზე? სრულიად საქართველოს დღემდე აწუხებს კითხვა, რომელიც ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, უკვე რიტორიკულად იქცა — რატომ მიანიჭეს საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მაშინ, როდესაც კომპანია „არემჯი გოლდი“, ამავე საბადოზე, ოქროს მოპოვების ლიცენზიას ფლობდა და თუ მიანიჭეს, მერე რატომღა გააუქმეს? „ვერსიის“ კითხვებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი ირინა ღამბაშიძე პასუხობს.**

**— ქალბატონო ირინა, რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა ექსპედიციაზე და კონკრეტულად, რა სამუშაოებზე გაწერეთ ეს თანხა?**

— ეს გერმანული გრანტი იყო, ქართული ფული არ დახარჯულა. ეს ექსპედიცია მთლიანად გერმანიამ, კერძოდ, „ფოლკსვაგენის ფონდმა“ დააფინანსა და ამიტომ ვერაფერს გეტყვით.

**— თუ საიდუმლო არ არის, ამ ექსპედიციის განმავლობაში რა რაოდენობის ანაზღაურება მიიღეთ?**

— ეს იყო პროექტი, რომლის ფარგლებში ხელფასი არ გაიცემა. პროექტის დროს, ფინანსდება მივლინებისა და შესრულებული სამუშაოს ხარჯები.

**— მაშინ, მაგ ხარჯების შესახებ გვითხარით, რამდენი დაიხარჯა შესრულებულ სამუშაოსა და მივლინებაზე?**

— ხომ გითხარით, გერმანიის მხარეს დაუკავშირდით და ეს ინფორმაცია მათგან მიიღეთ. მე რა უნდა გითხრათ, რამდენი გადამიხადეს? ახლა რომ გკითხოთ, რამდენს გიხდიან-თქო, მიპასუხებთ?

**— ქალბატონო ირინა, თუ თქვენი ანაზღაურება კომერციული საიდუმლოა, ცხადია, უფლება არ მაქვს, რამე გკითხოთ, მაგრამ მე ექსპედიციის ხარჯები მაინტერესებს.**

— არანაირი საიდუმლო არ არის, უბრალოდ, ხელფასი არ ყოფილა, რადგან ეს იყო გრანტი. გრანტის ფარგლებში, მეცნიერული კვლევები ფინანსდებოდა.

**— ხარჯებზე აღარ დავკონკრეტდები, მაგრამ ის მაინც მითხარით, გრანტის სახით, რა რაოდენობის თანხა გამოყო გერმანულმა ფონდმა ჯამში და კონკრეტულად, რა სამუშაოებზე გაწერეთ ეს თანხა?**

— გეხვეწებით, მკითხეთ, რა გაინტერესებთ მეცნიერულად. ფინანსებზე გერმანიას მიმართეთ.

**— დიახ, ესეც მაინტერესებს, რადგან 2004 წლიდან ამ თემაზე მუშაობთ. თქვენი აზრით, რამდენად კანონიერად მიანიჭა კულტურის სამინისტრომ 2006 წელს, საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, თან იმის გათვალისწინებით, რომ პარალელურად, კომპანია „არემჯი გოლდი“ ამავე საბადოზე, ოქროს მოპოვების ლიცენზიას ფლობდა?**

— მე თვითონ შევიტანე დოკუმენტები კულტურის სამინისტროში სრულიად კანონიერად და საფუძვლიანად. ძეგლის სტატუსი კულტურის სამინისტრომ მიანიჭა, მე არ ვმუშაობ ამ სამინისტროში და მე ხომ არ მივანიჭებდი? ეკონომიკის სამინისტრომ დაადასტურა, ხოლო იუსტიციის სამინისტრომ რეესტრში გაატარა. როგორ არ თქვეს მაშინვე, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე კომპანია ლიცენზიას ფლობდა, არ მესმის! არ ვიცი, რა მოხდა კულტურის სამინისტროში, მაგრამ ვიცი, რომ ჩემს მიერ ჩაბარებული დოკუმენტები დაიკარგა და ამის შემდეგ, უკანონოდ მოხსნეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ამას უამრავი ნიუანსი ახლდა, მართალია, დოკუმენტები ჩავაბარე, მაგრამ, თუ ეს საბადო უკვე ლიცენზირებული იყო და კომპანია მუშაობდა, ეკონომიკის სამინისტროს ხომ უნდა განეხილა? არავის არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ, კულტურის სამინისტრომ საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რეესტრში გაატარეს და უმაღლესი ეროვნული კატეგორიაც მიანიჭეს.

**— ერთი მხრივ, საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ითვლება, მეორე მხრივ კი სპეციალისტები აცხადებენ, რომ გვირაბი მხოლოდ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში გაჭრეს და შეუძლებელია, აქ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოქრო მოეპოვებინათ, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— არა, ეს დილეტანტური პასუხია. 80-იან წლებში რომ გვირაბი გაჭრეს, იმ გვირაბმა ძველი გვირაბები გადაჭრა. უფრო ზუსტად, ძველი გვირაბები თანამედროვე გვირაბის გაჭრის შემდეგ აღმოჩნდა. 10-წლიანი მეცნიერული კვლევის შედეგად, ლაბორატორიულად დამტკიცებულია, რომ აქ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოქროს მოიპოვებდნენ, რადგან ეს გვირაბები მსოფლიოში უძველესი, ოქროს გვირაბებია.

**— საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე, ექსპედიციის განმავლობაში, არქეოლოგიური გათხრების დროს, მძიმე ტექნიკას იყენებდით?**

— არა, გათხრების დროს მძიმე ტექნიკას არ ვიყენებდით. თანამედროვე გვირაბის ჩამოქცევის დროს გამოვიყენეთ ტრაქტორი, რადგან გამოქვაბულში შესასვლელი ჩაიკეტა და ძველ გვირაბებთან ვეღარ მივდიოდით. ტექნიკა მხოლოდ იმიტომ გამოვიყენეთ, გვირაბის შესასვლელი გაგვეწმინდა, თორემ პრეისტორიული ხანის ძეგლის ტერიტორიას არ შეხებია.

**— იმის თქმა გინდათ, რომ ექსპედიციის დროს, გვირაბს არ აფეთქებდით?**

— არანაირი აფეთქება არ ყოფილა. თუ დასკვნაში ეს სიტყვა მაინც მოხვდა, თარჯიმნის ბრალია, რადგან შეცდომა თარგმანშია დაშვებული.

**— უკაცრავად, გრანტის ფარგლებში, ტრენინგის კურსებიც გაიარეთ ერთ-ერთ სემინარზე?**

— ამ პროექტის ფარგლებში, გერმანიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ლექციების კურსს ვკითხულობ, სადაც მიწვეული პროფესორი ვარ.

## პატიმრის დღიური

# „მეგისამ მითხრა, ბიზნესმენს „წამალზე“ დავიჭერ, მაგისი ლამაზი ჩერქეზი ცოლი კი ჩემი გახდებაო“

## როგორ გააუბედურეს როლანდ ახალაიამ და მეგის ქარდავამ დათოს ოჯახი „შეუსრულებელი მისიის“ გამო



პატიმარი №0578

წინა ხელისუფლების პირობებში, არცთუ იშვიათად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ერთდროულად ოჯახის რამდენიმე წევრი იხდიდა სასჯელს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ასეთი რამ მაშინ ხდებოდა, როცა ყოფილი ხელისუფლება „ურჩი ოჯახების“ დასჯას გადაწყვეტდა. მიზეზს მნიშვნელობა არ ჰქონდა...

დათო შ. და ავთო შ. სასჯელს რუსთავის №17 დაწესებულებაში იხდიდნენ, მათი მესამე ძმა №16 დაწესებულებაში იჯდა, დედა კი ქალთა კოლონიაში. ერთი ოჯახის ოთხი წევრი მართლაც მეტისმეტი იყო და თან თითოეულს მინიმუმ 6 წელი ჰქონდა მისჯილი. დილით, როცა ზონა იღვიძებდა, დათოს და ავთოს კამერიდან ყოველდღე ისმოდა — მეგის, მე შენი... მათი გინების ობიექტი ყველასთვის კარგად ცნობილი მეგის ქარდავა გახლდათ. ოჯახის ისტორია თითქმის ყველამ იცოდა, მაგრამ ისე, გადმოცემით და ცოტა დამახინჯება-გაზვიადებით.

„დავით, შენი ისტორია რომ მომიყვე, არ იქნება ცუდი. ამბობენ, ოჯახის წევრებიც და საკუთარი თავიც ვიღაც ჩერქეზი ძუკნას გამო გაწირაო. მართალია?!“ — პატიმარმა №0578-მა დათოს ეს მაშინ ჰკითხა, როცა აცნობეს, დედაშენს სასჯელი გაუნახევრეს და ციხიდან ორ თვეში გავაო.

„ჯერ ერთი, ის ჩერქეზი ძუკნა არ იყო. მეორეც, ჩემი ბრალი არაფერია. მეგის, მე შენი...“

„აბა, რა მოხდა? დავიჯერო, მეგის ქარდავამ არაფრის გულისთვის ამდენი ხალხი გაგწირათ?!“ — არ მოეშვა №0578.

„მამაჩემს რომ არ გაესწრო, იმასაც დაიჭერდა და ჩემს ცოლშვილსაც. არ იცნობ მაგას, მე მაგის...“ — ისევ „მოიკითხა“ დათომ ქარდავა. მერე კედელს თვალი გაუშტერა და ჩუმად დაიწყო: „მე, ჩემი ძმა და დედაჩემი ზუგდიდში, ერთ-ერთ ბიზნესმენთან ვმუშაობდით. ის კაცი წლების წინ წავიდა რუსეთში, აქეთ ააწყო ბიზნესი და ადგილობრივები დაასაქმა. მესამე ძმას ვულკანიზაცია ჰქონდა და არ ვემდუროდით ბედს. ერთ დღეს დაბრუნდა ბიზნესმენი. 65 წელს გადაცილებული იყო და თან 23 წლის ანგელოზივით გოგო ჩამოიყვანა. ზალინა ჩერქეზი იყო. არ ვიცი, როგორ აღგიწერო მისი სილამაზე. ჯეირანივით დაყვებოდა მოხუც ქმარს. მუდამ თავშალი ეკეთა. მხოლოდ თვალები და სახე უჩანდა, მაგრამ მაინც აგიჟებდა ნახევარ ზუგდიდს... მე და მეგისა ბავშვობიდან ვძმაკაცობდით. მითხრა კიდეც თავის დროზე, ჩემთან წამოდი, იმუშავეო, მაგრამ ისეთ ამბებს ჰყვებოდნენ ზუგდიდში, უარი ვუთხარი. მაგ ბიზნესმენის ჩამოსვლის შემდეგ, დამიბარა, „სუბუტექსი“ მომცა, იმ კაცის კაბინეტში დადეო. ვიცოდი, ბიზნესმენი ამათ ხარკს უხდიდა. ვუთხარი, თუ გადახდა დააგვიანდა, აცადე, გადამხდელია-თქო. რა გადამხდელი, ვერ ხედავ, რა ქალი ახლავს. მაგას წამალზე დავიჭერ, მერე მაგის ლამაზი ცოლი მოვა, გაშვებას მთხოვს და როგორც დაიმსახურებს, ისე მოვექცევი ქმარსო“.

„რატომ გამოართვი სუბუტექსი?!“ — მოიღუშა №0578.

„უარი ვუთხარი, მაგრამ მოიფიქრეო. ორ დღეში, მეგისა ჩემ დაბადების დღეზე მოვიდა. შეთვრა და მამაჩემს უთხრა, შენი ბიჭი არ მიჯერებს, თავს დაიღუპავს და თქვენც დაგღუპავთო. მამა დაინტერესდა, რას არ ვუჯერებდი იმ დედააფეთქებულს. როცა მოვუყევი, გაგიჟდა. გავიდა ორი კვირა. მეგისა ყოველდღე მირეკავდა, რას აპირებო. ვხვდებოდი, რაღაც უნდა მექნა. ბიზნესმენს ვუთხარი, დიდი ფულის ახევას გიპირებენ, წამალს ჩაგიდებენ, გაასწარი-მეთქი. იმას როგორ ვეტყოდი, შენი ცოლი მეგის ქარდავას მოსწონს და მაგიტომ უნდა დაგიჭირონ-თქო. იმ შტერმა ახალაიას გადაურეკა, როლანდას და შეხვედრა სთხოვა. ზუგდიდი მაგას ებარა, ბაჩო და დათა განსაკუთრებულ შემთხვევებში ერეოდნენ საქმეში. მივხვდი, კარგი არაფერი მელოდა. მეორე დღეს მეგისამ დამირეკა, რაც გაგატანე, მომიტანე, შენგან არაფერი გამოვაო. „სუბუტექსი“ წავუღე, მაგრამ გზაში პატრულმა გამაჩერა, გამჩხრიკა და დამიჭირეს. მეგისასთან მიმიყვანეს, როლანდაც იქ იყო. „შეწუხდნენ“, ამას როგორ ვიფიქრებდითო და გამიშვეს ზუგდიდის ციხეზე... ორ დღეში წინასწარი პატიმრობა შემიფარდეს. სანამ ციხეზე დამაბრუნებდნენ, მეგისამ მნახა. მკითხა, თვლა სადამდე იციო?! გაკვირვებულმა შევხედე. მან კი, ხვალიდან დათვლა დაიწყეო, მითხრა. მეგონა „სროკზე“ მეუბნებოდა, მაგრამ... მეორე დღეს ჩემი ძმა დაიჭირეს, ისიც „წამლით“. კიდევ ერთ კვირაში — მესამე ძმა, მასაც „სუბუ“ უპოვეს. კიდევ ერთ კვირაში დედაჩემიც აიყვანეს, ასევე „სუბუტექსით“. მამაჩემმა მოკიდა ჩემი და ჩემი ძმის ცოლ-შვილს ხელი და ზუგდიდიდან გაიქცა. სასაცილო, იცი, რა არის? მაგ საქმეში იმ პოლიციელებმა პრემიები მიიღეს და დაწინაურდნენ. ახლა მე მკითხე, რა დღეში ჩავვარდი?! ადვოკატის პირით იმ კაცს შევუთვალე, შენ რომ წამალი არ დაგიდე, ხედავ რა მიქნეს-თქო. მან კი, იცი, რა თქვა?! — თურმე ამდენი წელი ნარკომანების ოჯახს ვარჩენდიო. მეგისას დაუჯერა. ვერ წარმოიდგინა, რომ ამას იკადრებდა. მე ექვსი წელი მომცეს, ავთოს რვა, მესამე ძმას 10, დედაჩემს — 12. შევუთვალე მეგისას, დედაჩემს მაინც შეეშვი, ჩვენ მოვიხდით-თქო და შეწყალებით „სროკი“ გაუნახევრეს. ახლა, „ვლასტი“ რომ შეიცვალა, დედას კიდევ გაუნახევრეს სასჯელი. მალე გავა. მე და ავთოც მივყვებით და ცხოვრებას თავიდან დავიწყებთ, თუ რამე გამოვიდა. მამაჩემი ზუგდიდში დაბრუნდა და წვალებით არჩენს ორ ოჯახს. ჩვენ კი ბალანდას ვლეჭავთ ყოველდღე, აბა რა ვქნათ?!“, — დაასრულა მონოლოგი დათომ.

„იმ ბიზნესმენს რა ბედი ეწია?!“

„წავიდა დიხას, არ მოვა დიდ ხანს! — დიხა, მეგრულად მიწაა. ჰოდა, წავიდა მიწაში, ჩვენი გასამართლებიდან ერთ თვეში, კაბინეტში ჩხრეკა ჩაუტარეს და „სუბუტექსი“ უპოვეს. ინფარქტმა ხია და მოკვდა ერთ კვირაში.“

„ანუ, ის ჩერქეზი ქალი მეგისას დარჩა?!“

„არა, ცოლი ქმარს თავზე ადგა, პალატიდან არ გამოდიოდა. მერე კი, როცა მოკვდა, ძმებმა ჩამოაკითხეს, ბიზნესი კაპიკებში მიყიდეს როლანდა ახალაიას დისშვილს და რუსეთში გაბრუნდნენ. იქაც ჰქონდა იმ კაცს ბიზნესი და ალბათ იმას მიხედავენ“. „ძმები თუ ჰყავდა იმ გოგოს, ამ ბაბუას რატომ გაატანეს თავის და?!“

„რასაც გეტყვი, შეიძლება არ დამიჯერო. იმ გოგოს თვალები მაქვს ნანახი და... უყვარდა ქმარი, ძალიან უყვარდა“.

„ქმარი თუ ფული?!“

„შენ რა იცი, რა არის სიყვარული ჯიმა?“

„თუ რამ საგანძური და ჯილდო მიუნიჭებია ღმერთს ადამიანისათვის, სიყვარულის ნიჭია. ცოდოა ის კაცი, რომელიც ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან...“

„ვა, ეგ შენ მოიფიქრე?!“

„არა, ჯერ დუმბაძემ და მერე ათქმევინა ქალბატონ ანიკოს“.

„დუმბაძე ვიცი, ანიკო ვინ არის?!“

„არის რა...“

* * *

დათო თავისუფლებაზე გლდანში, ახმეტელის მეტროსთან ვნახე. მოკითხვის შემდეგ თქვა, დედაჩემი გამოვიდა, მე და ავთოც, მესამე ძმას კი 3 წელი დარჩაო. „მეგისა არ მინახავს, მაგრამ ვესაუბრე. მითხრა, გულში არაფერი ჩაიდოო. დამირეკა გამოსვლიდან მესამე დღეს. გავგიჟდი, ის ნომერი ორი დღის აღებული მქონდა და სულ რამდენიმე კაცმა იცოდა. მითხრა, სოჭში ვარ, გენდობი და ადგილსამყოფელს იმიტომ გეუბნები, ძმები ვართ, იცოდეო. ტელეფონში რა უნდა მექნა? მოვა დრო, შევხვდები, როცა იქნება“, — დათოს ხმაში აშკარად მუქარა იგრძნობოდა.

# ფარმაცევტული ბლეფი, სახელად „ტამიფლუ“

## სკანდალური კვლევის შედეგი — პრეპარატი, რომლითაც ღორის გრიპს კურნავდნენ, ვირუსს არ ებრძვის




თამარ ლომსაძე
568-34-44-94

რამდენიმე წლის წინ, როცა მსოფლიო ე.წ. ღორის გრიპის გამო უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა, ერთ-ერთ პრევენციად პრეპარატი „ტამიფლუ“ მიიჩნეოდა. დანამდვილებით არავინ იცოდა შეეძლო თუ არა ამ წამალს პანდემიის აცილება, თუმცა მსოფლიო ფარმაცევტული გიგანტები სახედრის სიჯიუტით საუბრობდნენ მის ეფექტურობაზე. შედეგად კი, მსოფლიოში „ტამიფლუს“ დეფიციტი შეიქმნა და საქმე იქამდეც მივიდა, ამბობდნენ, მწარმოებლები „ტამიფლუს“ შეფუთვით სხვა წამალს ყიდიან, წამლის არარსებობის გამო მსოფლიო პანიკამ რომ არ მოიცვასო. ეს მცირე ექსკურსი იმისთვის დაგვჭირდა, რომ დღეს სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოვჩნდით — მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები ამტკიცებენ, „ტამიფლუს“ არანაირად შეეძლო დადებითად ემოქმედა გრიპის ეპიდემიისას, რადგან მისი კვლევის შედეგები კარგა ხანს გასაიდუმლოებული იყოო, — წერს Guardian-ში ექიმი ბენ გოლდაკრი.

**„ტამიფლუს“ მწარმოებელი Roche 5 წლის განმავლობაში ამბობდა უარს ამ პრეპარატის კლინიკური ცდების გასაჯაროებაზე. ეს უკვე სკანდალია, რადგან ბრიტანეთმა ნახევარი მილიარდი ფუნტი დახარჯა ამ პრეპარატის მარაგზე ეპიდემიის დროს... უფრო დიდი სკანდალი კი ისაა, რომ Roche-ს კანონი არ დაურღვევია, როცა ასაიდუმლოებდა უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას, რომელიც პრეპარატის ეფექტურობას ეხებოდა. უხეშად რომ ვთქვათ, იმ პრეპარატების შესახებ ინფორმაცია, რომლითაც ვსარგებლობთ, კანონიერად იმალება ექიმების მიერ“,** — ამტკიცებს ავტორი.

რა მოხდა სინამდვილეში და რატომ დაიდო ასეთი დასკვნა მაშინ, როცა დღეს ფაქტობრივად აღარავის ახსოვს ღორის გრიპი და ყველა ებოლას ვირუსს ებრძვის? — საქმე ის გახლავთ, რომ გოლდაკრის თქმით, „ტამიფლუს“ ხელახალი გამოკვლევა ერთადერთი ინტერნეტკომენტარის საფუძველზე გადაწყდა: 2009 წელს, როცა ყველას ეშინოდა გრიპის პანდემიის, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის ხელისუფლებებმა სთხოვეს Cochrane Collaboration-ს, აღედგინა „ტამიფლუს“ კვლევა. **„Cochrane-ს კვლევა ოქროს სტანდარტია მსოფლიო მედიცინაში: ისინი აჯამებენ ყველა მონაცემს მკურნალობის ამა თუ იმ მეთოდის შესახებ და ხშირად აახლებენ იფორმაციას“,** — წერს ავტორი.

უფრო ადრე — 2008 წელს Cochrane Collaboration-მა ტამიფლუს შესახებ დაასკვნა, რომ პრეპარატი ისეთ გართულებებს გვაცილებს თავიდან, როგორიცაა პნევმონია, მაგრამ იაპონელმა პედიატრმა კეიძი ხაიასიმ Cochrane-ს საიტზე კომენტარი დატოვა, რომელმაც შემდეგ გამოძიებასა თუ კვლევას მისცა ბიძგი. ხაიასიმ განმარტა: ჩატარდა 10 კლინიკური ცდა, რომელიც ფარმაცევტულმა ინდუსტრიამ დააფინანსა და რეალურად მხოლოდ 2 რეზულტატი გამოქვეყნდა. რაც შეეხება დანარჩენ რვას, მათ შესახებ მხოლოდ ის იყო ცნობილი, რა მეთოდებს იყენებდნენ კვლევისასო. მოგვიანებით, 2008 წლის გამოკვლევის ავტორმა ტომ ჯეფერსონმა აღიარა შეცდომა და კვლევის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება გადაწყვიტა, მაგრამ გაირკვა, რომ მთელი ინფორმაცია roche-ს ხელთ იყო. კომპანია მზად იყო მიეწოდებინა მასალების ნაწილი, მაგრამ Cochrane-ს რეცენზენტებისგან ითხოვდა სრულ კონფიდენციალობას.

ჯეფერსონი არ ნებდებოდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ კომპანიამ 7 დოკუმენტი გადაუგზავნა, მაგრამ ისინი არ შეიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას: **„მალევე ნათელი გახდა, რომ პრეპარატის შესახებ ინფორმაციაში უცნაური შეუსაბამობაა. მთავარი კი ის, რომ სხვადასხვა ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეყანაში გაკეთებული დასკვნები, რომელიც პრეპარატის ეფექტურობას ეხებოდა, მკვეთრად განსხვავდებოდა“,** — ნათქვამია სტატიაში, სადაც ავტორი დასძენს, რომ **„ამ ყველაფერს შეიძლება ორი ახსნა ჰქონდეს: ან დასკვნები დაიდო აბსოლუტურად განსხვავებული ინფორმაციის საფუძველზე, ან კლინიკური ცდების სხვადასხვა ინტერპრეტირება ხდება. და რა გასაკვირია ასეთი ლაფსუსები მაშინ, როცა არაერთი ფაქტი არსებობს, როგორ ცდება ცდები რეალობას და შედეგად არასწორი სურათი იდება მკურნალობის ეფექტურობის შესახებ“.**

გაირკვა, რომ „ტამიფლუს“ ცდებისას მოხალისეთა უმრავლესობა სულაც არ საჭიროებდა მკურნალობას, ბრმა ცდებისას კი არც პაციენტებმა იცოდნენ და არც ექიმებმა, სად იყო წამალი და სად პლაცებო (?!). ყველაზე უცნაური ის გახლდათ, რომ დიაგნოზი — პნევმონია — თავად პაციენტების მიერ იყო დასმული. შედეგად Cochrane-მა გადაწყვიტა, მონაცემები სანდოდ არ ეცნო. 2009 წელს Roche-მ პირობა დადო, რომ წარადგენდა უკლებლივ ყველა ანგარიშს კვლევის შესახებ, მაგრამ მსგავსი არაფერი გაუკეთებია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაშიც, **„ამ პერიოდში გლობალურმა სამედიცინო საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ გასაჯაროებულ მასალებს ყველა შეცდომაში შეყავდა, Roche კი დიდხანს ამბობდა უარს სრული დოკუმენტაციის წარდგენაზე და ათასგვარ პრეტენზიას აცხადებდა, თუმცა ინფორმაციის დამალვის მიზეზების დასაბუთება სულ უფრო უჭირდა. და 2014 წელს, როგორც იქნა დაიდო დასკვნა — „ტამიფლუ“, Cochrane-ს დასკვნით, არანაირად არ ამცირებს პნევმონიისა და გრიპის შესაძლო გართულებების საფრთხეს. არც იმის თქმა შეგვიძლია დანამდვილებით, ამცირებს თუ არა სიკვდილიანობას. ყოველ შემთხვევაში, ბოლო 5 გამოკვლევის მასალებიდან ირკვევა, რომ შესამჩნევი პლუსები არ არსებობს. Roche პრესრელიზში უარყოფს და აპროტესტებს ამ დასკვნას, მაგრამ არანაირი არგუმენტები არ მოჰყავს“...**

გოლდაკრი იმედოვნებს, რომ ახლა დაიწყება ნამდვილი სამეცნიერო კვლევები — დაე, Roche-მ სცადოს Cochrane-ს დასკვნის უკუგება, მანამდე კი, სანამ რომელიმე წამალს პანაცეად გამოაცხადებენ, იქნებ მსოფლიო ფარმაცევტიკის გიგანტებმა ერთხელ მაინც გაითავისონ, რომ საქმე ადამიანის ჯანმრთელობასთან აქვთ და არ შეიძლება, მხოლოდ საკუთარი კომპანიის მოგებაზე ზრუნავდნენ სხვების სიცოცხლის ფასად.




# საქართველოში ებოლას ვირუსით დაავადების რისკი არ არსებობს!

29 ოქტომბერს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხემძღვანელობამ, ებოლას ვირუსთან დაკავშირებით, ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა. რა არის ებოლარა? როდის ან საიდან წარმოიშვა? რამდენად გავრცელებულია ვირუსი დღეს მსოფლიოში და როგორ უნდა მოვიქცეთ, ინფიცირებულთან კონტაქტის შემთხვევაში? — ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხიც საზოგადოებას აინტერესებს და შეხვედრის მთავარი მიზანიც, სწორედ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება იყო.

ისაუბრეს ვირუსის გავრცელების მიზეზებზეც — ებოლა შეიძლება გავრცელდეს არამხოლოდ დაინფიცირებულთან უშუალო კონტაქტით, არამედ ვირუსის მატარებელ გვამთან კონტაქტითაც.

ებოლას ვირუსი 1976 წელს აღმოაჩინეს სამხრეთ აფრიკაში. მას შემდეგ რამდენჯერმე ეპიდაფეთქებები იყო, მაგრამ მხოლოდ მიმდებარე სოფლებში ვრცელდებოდა. წელს კი ეპიდემიამ გავრცელებამ მასშტაბური სახე მიიღო. ეპიდემია მძვინვარებდა ნიგერიაში, თუმცა 160-მილიონიანი მოსახლეობიდან მხოლოდ 20-ია გარდაცვლილი (ეს მხოლოდ ნიგერიაში, თორემ ზოგადად, გარდაცვლილთა რიცხვი 5 ათასამდე აღწევს). ნიგერია ამ პერიოდისთვის უკვე ეპიდემიისგან თავისუფალ ზონად გამოცხადდა. სამაგიეროდ, დღეს ვირუსს აქტიურად ებრძვიან სიერა ლეონეში, ლიბერიასა და გვინეაში.

მას შემდეგ რაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ებოლა საერთაშორისო ჯანმრთელობის განსაკუთრებულ საფრთხედ გამოაცხადა, მსოფლიოს ყველა ქვეყანამ დაიწყო თავდაცვითი მექანიზმების გატარება. არც საქართველო იყო გამონაკლისი — 2014 წლის 8 აგვისტოდან აკვირდებოდნენ ადამიანებს, ვინც უშუალოდ ნიგერიიდან ჩამოვიდა. ასეთი სულ 84 ადამიანი იყო.

როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა **ამირან გამყრელიძემ** განაცხადა, საქართველოში ებოლას გავრცელების რისკი თითქმის არ არსებობს, რასაც მოწმობს ნიგერიიდან ქვეყანაში შემოსულ მოქალაქეებზე დაკვირვების შედეგი. საქართველოში არ დაფიქსირებულა ვირუსის გავრცელების არცერთი შემთხვევა: **„ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის სწორად გავრცელებას, რადგან სწორედ არასწორად გავრცელებულმა ინფორმაციამ, თითქოს ეს 84 ადამიანი დაინფიცირებულია და კარანტინშია, გამოიწვია მოსახლეობის პანიკა, ამიტომ ჩემი თხოვნაა — ნუ გადავრევთ ხალხს!“**

რაც შეეხება ვაქცინას და წამლებს, დღეისთვის, ებოლას ვირუსული დაავადების საწინააღმდეგო ლიცენზირებული ვაქცინა ან კონკრეტული წამალი არ არსებობს, თუმცა რამდენიმე ვაქცინა ცდის პროცესშია.

*ანა ოკუჯავა*

# „რეზინის“ სკანდალი

## საქართველო — ვადაგასული პრეზერვატივების ნაგავსაყრელი



თამარ ლომსაძე
568-34-44-94

„ვერსია“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ საქართველოში რამდენიმე ათასი ტონით შემცირდა პრეზერვატივის შემოტანა. ამჯერად საკითხს სამედიცინო კუთხით მივუდექით, რადგან კონფიდენციალურმა წყარომ ინფორმაცია მოგვაწოდა, რომ იმპორტის შემცირების ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი მიზეზი ვადაგასული პროდუქციაა — საქართველო ვადაგასული პრეზერვატივების ნაგავსაყრელი იყო, რაზეც სხვადასხვა ჯგუფები და კომპანიები დიდ ფულს შოულობდნენო. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ არცთუ სახარბიელო ვითარებას ხარისხის კონტროლისა და ამა თუ იმ ნაწარმის ვარგისიანობის მხრივ, გამორიცხული ნამდვილად არაფერია. სქემა კი უმარტივესი გახლავთ — პროდუქცია, რომელსაც სარგებლობის ვადის გასვლამდე რამდენიმე თვე ან კვირა რჩება, ბევრად იაფია. თანაც, საქართველოში შემოტანილი პროდუქციის კონტროლი რა ხილია, ბევრმა არც იცოდა და რა გასაკვირია, გარკვეული ჯგუფი უხარისხო თუ ვადაგასული პროდუქციის შემოტანით ხელს თუ ითბობდა... არც ისაა გამორიცხული, პრეზერვატივების გასაღებით ნაშოვნი ფული „ატკატებად“ ბრუნდებოდა. ახალი ხელისუფლების პირობებში კი საბაჟოზე კონტროლი გამკაცრდა და ეს „კანალი“, ასე ვთქვათ, დაიხურა... რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში რამის მტკიცება შეუძლებელია, თუმცა პასუხგაუცემელი უამრავი კითხვა არსებობს...

არადა, პრეზერვატივი კონტრაცეპციის ერთ-ერთ გავრცელებულ საშუალებად ითვლება, ხელმისაწვდომია როგორც ფასით, ისე გასაღების ბაზრით... მაგრამ საკითხავი ისაა, რა საფრთხეს შეიცავს ვადაგასული „რეზინი“?

დაგვეთანხმებით, ძნელად დასაჯერებელია, საქართველოში ვინმე პრეზერვატივის შეფუთვას ზედმიწევნით აკვირდებოდეს და გამოშვების თარიღსა და ვარგისიანობას ამოწმებდეს... ჭეშმარიტი ქართველი პრეზერვატივის შეკვრით ხელში სუპერმარკეტის სალაროსთან დგას და დასცქერის შენაძენს იმის გასარკვევად, შემთხვევით, ვადა ხომ არ აქვს გასული... ასტრალია არა? — არადა, წესით, ვადა პირველ რიგში უნდა გაკონტროლდეს, რადგან...

როგორც სპეციალისტებმა გვითხრეს, ვადაგასული „რეზინი“ არასასურველი ორსულობის შანსს მნიშვნელოვნად ზრდის, რადგან ლატექსი, რითიც დაფარულია შიდა ფენა, ვადის გასვლის შემდეგ დანიშნულებას კარგავს, იშლება და შესაბამისად ასეთი პრეზერვატივის გახევის ალბათობა ძალიან დიდია;

თუ ვადაგასული პრეზერვატივი გაიხა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისგან თავის დაცვა შეუძლებელია!

ფიქრობთ, ეს არასაკმარისი რისკფაქტორებია? მით უმეტეს, რომ ხარისხიდან გამომდინარე, „რეზინს“ ვარგისიანობის ვადაც სხვადასხვა აქვს — 2-დან 5 წლამდე. იაფფასიანი პროდუქციის შემთხვევაში მარკირება შეიძლება წაშლილიც იყოს და რომელი მაღაზიის მფლობელი დათანხმდება თქვენი დაუგეგმავად გაჩენილი შვილის რჩენას ან სქესობრივი გზით გადამდები დაავადებით დაინფიცირების შემთხვევაში თქვენს მკურნალობას? ასე რომ, როგორც „ვერსიას“ სანდო წყარომ გაუმხილა, გამორიცხული არაა, ათასობით ტონა პრეზერვატივი სწორედაც ვადაგასულობის გამო ამოიღეს გაყიდვიდან და ის არხიც გადაკეტეს, საიდანაც მსგავსი პროდუქცია შემოდიოდა.

შესაძლოა ეს თემა ვიღაცებს სასაცილოდ არ ეყოთ, მაგრამ როცა აბორტების აკრძალვასა თუ დაკანონებაზე ბრტყლად ვსაუბრობთ, ან კიდევ სინანულით გავიქნევთ თავს მაშინ, როცა შევიტყობთ — ქვეყანაში აივინფექციისა და სქესობრივი გზით გადამდები სხვა დაავადებების რაოდენობამ იმატაო, იქნებ დავფიქრდეთ, რა შეიძლება იყოს ამის რეალური მიზეზი!

# „მედეას ტკივილი“ შორეულ ამერიკაში



## როგორ დაძლია ნოსტალგია ქეთი ნაცროშვილმა

ნათია ნოდია

**საქართველოს მშვიდობას, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, ეკონომიკურ აღმავლობას, სტაბილურობას უსურვებს. უნდა, რომ თბილისის ქუჩებში მათხოვარი აღარ ჭაჭანებდეს. ამერიკელ შვილს ქართველადაც ზრდის — ყველაზე ამაყი მაშინ იყო, როცა ერთ-ერთ კონკურსში გამარჯვების შემდეგ, ქალიშვილმა უთხრა, პირველ ადგილზე ალბათ იმიტომ გავედი, რომ ამერიკელთან ერთად ქართველიც ვარო. როგორ დაძლია დეპრესია, რამ გადაატანინა ნოსტალგია? ქეთი ამბობს, რომ შორეულ ამერიკაში, „მედეას ტკივილი“ გაითავისა.**

— ამერიკაში დარჩენას არ ვაპირებდი, მაგრამ გავთხოვდი, მალევე დავრჩი ორსულად და გავაცნობიერე, რომ საქართველო მონატრებულ ქვეყნად მექცეოდა, სადაც მხოლოდ სტუმრად ჩამოვიდოდი. პირველი დეპრესია სწორედ მაშინ დამეწყო. თორმეტი წელია აქ ვცხოვრობ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე წელი ვმუშაობდი პედაგოგად. შემდეგ ჟურნალისტიკამ გამიტაცა. წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდი სხვადასხვა რედაქციასთან. სარეკლამო აგენტობაც მოვსინჯე, მაგრამ ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ჩემი საყვარელი საქმე ჟურნალისტიკაა. ამერიკაში ჩამოსვლის შემდეგ სხვა პროფესიას დავეუფლე — ჯანდაცვის სფეროში ვმუშაობ.

**— თავის დროზე რამ გადაგაწყვეტინა სამშობლოდან გამგზავრება?**

— ეს შანსი იყო. ყოველთვის მაინტერესებდა სხვადასხვა ქვეყნის კულტურისა და ადათ-წესების შესწავლა. ასევე მსურდა, უცხოეთში გამეგრძელებინა სწავლა. ამერიკაში გამგზავრება ახალი ცხოვრების დაწყებას ნიშნავდა. ახლობელი, ახალგაზრდა მეცნიერი და მათემატიკოსი გოდერძი ფრუიძე და ჩემი რედაქტორი და მეგობარი მარინა იაშვილი დამეხმარნენ.

**— ამერიკაში დამკვიდრება რთული არ იყო?**

— ამერიკაში ლეგალურად წავედი და შესაბამისად, უსიამოვნო თავგადასავლები არ მქონია. ზოგადად, ცხოვრებაა რთული, მით უმეტეს, როცა მარტო ხარ უცხო ქვეყანაში. ამას ბევრი ვერ უძლებს, დეპრესიაში ვარდება. ამ მხრივ გამონაკლისი არ ვიყავი, რაღაც ეტაპზე ნოსტალგია და დეპრესია მეც მტანჯავდა, მაგრამ ოპტიმისტი ვარ და ყოველგვარი მედიკამენტების, ექიმების გარეშე დავძლიე ეს პრობლემები. ხელი იმანაც შემიწყო, რომ დატვირთული რეჟიმი მაქვს. სხვანაირად აქ ვერ იარსებებ. ხშირად იმის დროც არაა, გააანალიზო, სტრესში ხარ თუ დეპრესიაში. წლების განმავლობაში, პარალელურ რეჟიმში ვსწავლობდი, ვმუშაობდი და ბავშვს, ოჯახს ვუვლიდი. მედეას პრობლემა ისე ნათლად არასოდეს მიგრძნია, როგორც აქ, უცხოეთში გადმოკარგულს.

**— მეუღლე როგორ გაიცანით?**

— სხვადასხვა კომპანიაში, გვერდიგვერდ ვმუშაობდით. გულახდილად რომ გითხრათ, თავდაპირველად მის მიმართ ინტერესი არ გამჩენია. ერთ დღეს, თანამშრომელმა და მეგობარმა შერიმ წარმომიდგინა: „გაიცანი, ენდრიუ ჰოლლი“. მას შემდეგ ენდრიუ პერიოდულად შემოივლიდა ხოლმე ჩვენთან. საქმეებს ვიმიზეზებდი და მასთან საუბარს თავს ვარიდებდი. ჩემს თანამშრომლებს ძალიან მოსწონდათ ენდრიუ და ეხმარებოდნენ. ხან მისგან მოტანილ ყვავილებს გადმომცემდნენ ხოლმე, ხანაც წერილებს. თავიდან ბევრ წერილს მწერდა. არ მომწონდა მისი ჩაცმის სტილი, გრძელი თმა... ერთ დღეს, თმაშეჭრილი, ლამაზად ჩაცმული და წვერგაპარსული გამომეცხადა. რესტორანში დამპატიჟა. ძალიან სიმპათიური იყო. უარი ვერ ვუთხარი. ნაცნობობიდან შვიდი თვის თავზე ქორწინებაზე დავთანხმდი. პატარა ქორწილი გადავიხადეთ. ძირითადად, მისი ოჯახის წევრები და ახლობლები იყვნენ. ჩემიანი — არავინ. შერი კი, ჩემი მეჯვარე გახლდათ.

**— როგორია თქვენი შვილის თვალით დანახული საქართველო?**

— 10 წლის ანნა-მარია ჰოლლი, ჩემი ერთადერთი შვილია. ამდენი ხანი ამერიკაში სწორედ მისი წყალობით გავძელი. საქართველო უზომოდ უყვარს. ორჯერ არის ნამყოფი. პირველად, სამი წლის, მეორედ კი, ხუთი წლის ასაკში. ისე სწრაფად შეეჩვია და გაითავისა მისთვის უცხო გარემო, თითქოს იქ დაბადებულ-გაზრდილი ყოფილიყო. მას შემდეგ სულ მეკითხება, საქართველოში როდის წავალთო. ყველა საგანში ფრიადოსანია. გაძლიერებული სწავლების სპეციალურ სკოლაში დადის. შარშან, სამეცნიერო კონკურსში პირველ ადგილზე გავიდა. სერტიფიკატი მოიტანა და მითხრა, ეტყობა, მარტო ამერიკელი კი არა, ქართველიც რომ ვარ, იმიტომ გავიმარჯვეო. გული საოცარი სიამაყით ამევსო.

**— ქართული დიასპორა როგორ მუშაობს?**

— მიჩიგანის ერთ პატარა, ლამაზ ქალაქში ვცხოვრობ, რომელიც 15 წლის წინ, მცხეთის მოძმედ ითვლებოდა. აქ, გაცვლითი პროგრამით, ორი გოგონა სწავლობდა. ერთ-ერთის მამა მცხეთის გუბერნატორი იყო, რომელმაც მცხეთიდან ძეგლი გამოგზავნა. ეს ძეგლი ქალაქის ცენტრში ახლაც დგას, თუმცა ბოლო ათი წელია, არც ერთ ქართველს აღარ შევხვედრივარ. უმეტესობა დიდ ქალაქებში ცხოვრობს, ზოგი უკან დაბრუნდა. მრავლად არიან რუსი და უკრაინელი ემიგრანტები.

**— რა მსგავსება და განსხვავებაა ქართულ და ამერიკულ ტრადიციებსა თუ ყოფაში?**

— განსხვავება დიდია როგორც ტრადიციებსა და მენტალიტეტში, ასევე ცხოვრების სტილში. ამერიკასაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამას აქ დაბადებულ-გაზრდილი ნაკლებად ხედავს. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ამერიკა რაღაცნაირად იზოლირებულია სხვა ქვეყნებისგან. როცა სხვა ქვეყნიდან ჩადიხარ, ეს თვალშისაცემია. ზოგადად, პრაქტიკული, მატერიალისტური, ხელოვნებისმოყვარე და კანონმორჩილი ქვეყანაა. ამერიკაზე საუბარი თავისუფლების დეკლარაციის გარეშე წარმოუდგენელია. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს ნების გამოხატვის და თავისუფალი ქმედების უფლება, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არავის ან არაფერს აყენებს ზიანს. მკაცრად დაუშვებელია საწინააღმდეგო რეპლიკა, მით უმეტესს, საწინააღმდეგო ქმედება ნებისმიერი ეროვნების, რელიგიის, სქესის, ასაკის, პოლიტიკური შეხედულების, სექსუალური ორიენტაციისა თუ ფიზიკური მონაცემების გამო. ამის მიუხედავად, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ამერიკა ტრადიციების მოყვარული ქვეყანაა. ეს განსაკუთრებით ვლინდება დღესასწაულებზე... ქართველებს გვაქვს ბევრი ისეთი კარგი რამ, რაც ამერიკელებს არ გააჩნიათ. თუმცა, ამერიკელებისგან, ურთიერთპატივისცემას, გარშემომყოფთა უფლებების ხელშეუხებლობას, ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვას... თავისუფლების სიყვარულს გადმოვიღებდი და კიდევ — ელემენტარულ ჩვევას: არასოდეს ანაგვიანებენ ქუჩებსა და გარემოს!

**— მართალია, რომ „ამერიკის ქართველობა“ ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ფანია?**

— სააკაშვილზე, ემიგრანტების უმეტესობა მართლაც დიდ იმედს ამყარებდა. მიაჩნდათ, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობა საქართველოს სტაბილურობას, ეკონომიკურ აღორძინებას, ადამიანის უფლებების დაცვას განაპირობებდა. ბევრი ამ იმედით დაბრუნდა კიდეც. ამასთან, სააკაშვილმა გააადვილა მოქალაქეობის აღდგენა და ემიგრანტებს ორმაგ მოქალაქეობასაც კი დაპირდა. არადა, ეს ამერიკის კოდექსიდან გამომდინარე, აბსურდია — ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელი როცა ხდება ამერიკის მოქალაქე, დებს ფიცს, რომლის თანახმად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობა ამერიკის ღალატად ითვლება. ანუ, ამერიკის მოქალაქეს არ აქვს უფლება, პარალელურად საქართველოს მოქალაქეც იყოს ან პირიქით.



## საქართველომ სავიზო მოთხოვნების პირველი ფაზა დააკმაყოფილა

ევროკომისიის ინფორმაციით, საქართველომ სავიზო მოთხოვნების პირველი ფაზა დააკმაყოფილა და უკვე შესაძლებელია, დაიწყოს მეორე ფაზა საქართველო კიდევ ერთი ნაბიჯით დაუახლოვდა ევროკავშირთან ვიზის ლიბერალიზაციის პროცესს, ამის შესახებ ინფორმაციას ევროკომისია ავრცელებს.

როგორც ინფორმაციაში აღნიშნული, ევროკომისიამ საქართველოს მიერ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით მეორე ანგარიში მიიღო.

ევროკომისიის განცხადების თანახმად, საქართველომ სავიზო მოთხოვნების პირველი ფაზა დააკმაყოფილა და უკვე შესაძლებელია, დაიწყოს მეორე ფაზა. **„კმაყოფილი ვარ შედეგების შეფასებით. საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. მათ აჩვენეს მნიშვნელოვანი ვალდებულება, საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების გატარებით. ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი პროცესში, რომელიც საქართველოს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის განხორციელების მიზანს მიუახლოვებს“,** — აღნიშნა ევროკომისარმა საშინაო საქმეებში სესილია მალმსტრომმა.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, გასული წლის ნოემბერში კომისიის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, საქართველომ მიიღო კანონები დოკუმენტური უსაფრთხოების, თავშესაფრის მინიჭების, ანტიკორუფციულ და ფულის გათეთრების სფეროებში, ისევე, როგორც სხვა ზომები ხარვეზების გამოსავლენად: **„მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2014 წლის ზაფხულში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხზე სამართლებრივი კუთხით, 2014 წლის გაზაფხულზე კი ძალაში შევიდა ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ასევე მიუთითებს საქართველოს მზაობაზე, ვიზის ლიბერალიზაციის დიალოგისთვის“.**

ევროკომისია ასევე იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ მხრივ მუშაობას გააგრძელებს: **„კომისია მზად არის, დაეხმაროს საქართველოს ხელისუფლებას საკანონმდებლო, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური სტრუქტურების განხორციელებაში“.**

საქართველომ და ევროკავშირმა სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ მოლაპარაკებები 2012 წლის ივნისში დაიწყო, ხოლო ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა საქართველოს 2013 წლის თებერვლის ბოლოს გადაეცა.

ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს მოთხოვნების დეტალურ ჩამონათვალს, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს ევროკავშირის მიერ მოკლევადიანი უვიზო რეჟიმის მისაღებად.

2013 წლის ნოემბერში ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველომ ძალიან კარგ პროგრესს მიაღწია ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზის ამოცანების განხორციელებაში.

***„ინტერპრესნიუსი“***



## ირაკლი ღარიბაშვილი ნატო-ს გენერალურ მდივანს 17 ნოემბერს შეხვდება

ნატო-ს გენერალური მდივანი, იენს სტოლტენბერგი საქართველოს პრემიერ-მინისტრ, ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას გეგმავს. მისი განმარტებით, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან იმ ყოვლისმომცველი პაკეტის განხილვას აპირებს, რომელიც ნატო-მ საქართველოსთან მიმართებაში უელსის სამიტზე მიიღო: **„ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა ძალიან წარმატებულია. ჩემი, როგორც გენერალური მდივნის პასუხისმგებლობაა, ვიზრუნოთ შეთანხმებული პაკეტის განხორციელებაზე. ვაპირებ საკმაოდ მალე შევხვდე საქართველოს პრემიერ-მინისტრს“.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით 17 ნოემბერს საქართველოს დელეგაცია პრემიერის ხელმძღვანელობით ბრიუსელში გაემგზავრება, სადაც ღარიბაშვილი სტოლტენბერგს შეხვდება.

***„ინტერპრესნიუსი“***



# ღვინის მოყვარულებს სახლი აუშენეს



ღვინის ჭეშმარიტ დამფასებლებს ახლა შეუძლიათ კომფორტულად დასახლდნენ ტოკიოში — ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში სპეციალური, მრავალბინიანი სახლი ააშენეს, რომელიც ღვინის სარდაფითაა აღჭურვილი. გარდა ამისა, სახლის მობინადრეებს სომელიეც მოემსახურება გამოძახებით. 10-სართულიან კორპუსს ასეც დაარქვეს — „ღვინის აპარტამენტები“. მის სარდაფში არის სათავსო ტემპერატურის კონტროლით, რომელიც 10 ათას ბოთლზეა გათვლილი. გარდა ამისა, 18 ბინიდან თითოეული აღჭურვილია ღვინის შესანახი სპეციალური მაცივრითა და ბოკლების სადგამით. ცოტა ხანში კორპუსში ბისტროსაც გახსნიან, სადაც ბინადრებს შეეძლებათ, გემრიელად ისადილონ და თითო ბოთლი ღვინოც მიირთვან, მათ შორის საკუთარი კოლექციიდანაც. ეს კი დაახლოებით 20 დოლარი დაუჯდებათ. ამ სახლში ბინის დაქირავების მსურველებს 2400-2600 დოლარის გაღება მოუწევთ და ეს 30%-ით უფრო ძვირია, ვიდრე ჩვეულებრივი ბინები ტოკიოს ამ რაიონში. ღვინის სარდაფით სარგებლობისთვის დამატებითი გადასახადი 200 დოლარია თვეში და უფლებას იძლევა, საკუთარი კოლექციიდან 300-მდე ბოთლი შეინახოთ. სახლს დასვენების დღეებში ეწვევა სომელიე და მის მცხოვრებლებს შეეძლებათ სხვადასხვა რჩევა მიიღონ. კომპანია, რომელმაც ეს „ღვინის აპარტამენტები“ ააშენა, 2015 წელს კიდევ ერთი, უკვე 30-ბინიანი კორპუსის აშენებას გეგმავს. ფირმის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ეს ფულის დაბანდების საუკეთესო საშუალებაა. თუმცა, კომპანია მხოლოდ ღვინის მოყვარულებზე გათვლილი პროექტებით არ შემოიფარგლება — ცოტა ხნის წინ საცხოვრებელი კორპუსი მუსიკოსებისთვისაც ააშენეს.

# სახლის საქმეები ჯანმრთელობას ვნებს



ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები. მათი თქმით, დატვირთვისგან ყველაზე მეტად გულსისხლძარღვთა სისტემა ზიანდება. მკვლევარებმა 1000-ზე მეტი მამაკაცი და ქალი გამოკითხეს, რომლებიც მუშაობენ და გაარკვიეს, რომ ვისაც დამატებით ოჯახის საქმეც აწვება მხრებზე — გადასახადების გადახდა, პროდუქტის შეძენა, ბინის დალაგება, ხშირად მაღალი წნევა აწუხებთ, რაც იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ადამიანს უბრალოდ აღარ რჩება დრო, ნორმალურად დაისვენოს და საკუთარ თავს მიხედოს. ეს კი სერიოზულ ემოციურ დატვირთვას იწვევს და სტრესითა თუ დეპრესიით ვლინდება. წნევის მატების მთავარ წყაროდ სწავლულებმა სახლის დალაგება, საჭმლის კეთება და რეგულარულად საყიდლებზე სიარული დაასახელეს — ამ ყველაფერს პერმანენტულ სტრესამდე მივყავართ. შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე გადასახადების გადახდა, ავტომანქანის შეკეთება და ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვა „უსაფრთხო“ საოჯახო საქმედ მკვლევარებმა მხოლოდ ბავშვებსა და ცხოველებზე ზრუნვა დაასახელეს.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 8 | | | | | |
| | | 1 | | | 4 | 8 | | |
| | | 9 | | 5 | 1 | 4 | | 2 |
| | | 8 | 7 | | | | | 3 |
| | | 3 | | | | 9 | | |
| 2 | | | | | 8 | 1 | | |
| 1 | | 7 | 2 | 4 | | 6 | | |
| | | 5 | 3 | | | 2 | | |
| | | | | | 9 | | | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | 3 | | | | | |
| | | | 8 | 5 | 4 | | | |
| 1 | 5 | 2 | 9 | | | | | |
| | 9 | 6 | | | | | | 4 |
| | 4 | 5 | | | | 1 | 8 | |
| 2 | | | | | | 6 | 9 | |
| | | | | | 9 | 4 | 7 | 6 |
| | | | 4 | 3 | 5 | | | |
| | | | | | 2 | 3 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 7 | | | 9 | 6 | |
| | 9 | | 8 | | 3 | | 4 | 7 |
| | | | | | 6 | | | |
| | 1 | | | | | | | 8 |
| 4 | | 9 | | | | 6 | | 2 |
| 6 | | | | | | | 3 | |
| | | | 9 | | | | | |
| 9 | 4 | | 3 | | 7 | | 2 | |
| | 3 | 5 | | | 2 | 1 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | 2 | 1 | | | | 7 | |
| 8 | | | | | | | | 2 |
| 7 | 6 | | | 9 | | | | |
| | | 3 | 6 | 1 | | | | |
| 1 | 7 | 6 | | 5 | | 8 | 2 | 3 |
| | | | | 7 | 3 | 6 | | |
| | | | | 3 | | | 9 | 1 |
| 5 | | | | | | | | 7 |
| | 9 | | | | 1 | 2 | 5 | |

## ლეიკემიას ბოლო სტადიაზეც განკურნავენ



ლეიკემია ბოლო სტადიაზეც ექვემდებარება მკურნალობას, — ასეთ განცხადებას აკეთებენ ამერიკელი სპეციალისტები, რომელთაც ამ მძიმე ონკოლოგიური დაავადების მკურნალობის ექსპერიმენტული მეთოდი შემოგვთავაზეს. სწავლულების ექსპერიმენტში მონაწილეობას 30 პაციენტი დათანხმდა, რომელთაც გამოჯანმრთელების შანსი აღარ ჰქონდათ. მკურნალობის ტრადიციული მეთოდები, ღეროვანი უჯრედების გადანერგვა, ქიმიოთერაპია — უკვე ველარ ეწინააღმდეგებოდა დაავადებას. ექიმების თქმით, ყველა მოხალისეს რამდენიმე თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. ექსპერიმენტის ფარგლებში, ყველა მონაწილეს გენეტიკურად დაპროგრამებული უჯრედების ინექციებს უკეთებდნენ საკუთარივე იმუნური სისტემიდან და ეს უჯრედები იწყებდნენ ბრძოლას დაავადების წინააღმდეგ. შედეგად, ნახევარი წლის შემდეგ, 30 პაციენტიდან, 23 ჯერ ცოცხალი იყო, 19 მათგანს კი სრული რემისია აღენიშნებოდა. ლეიკემიის მკურნალობის ახალი მეთოდიკის ავტორები აღნიშნავენ, რომ მათი ექსპერიმენტული მკურნალობა მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა, რაც ადრე არასოდეს დაფიქსირებულა.

## უმი პროდუქტი ახალგაზრდობას შეგინარჩუნებთ



ამაში დარწმუნებულია სუზან რეინოლდსი — 29 წლის ქალი, რომელიც 16 წლის მოზარდივით გამოიყურება ჯანსაღი კვების წყალობით. როგორც სიუზანი ამბობს, მხოლოდ კაკალს, მზესუმზირას, პარკოსნებს, ხილსა და ბოსტნეულს მიირთმევს თერმული დამუშავების გარეშე. ბოლოს მომზადებული პროდუქტი მან შვიდი წლის წინ გასინჯა. ამ ხნის განმავლობაში რეინოლდსმა მთელი რიგი უნიკალური რეცეპტები შეიმუშავა, რაც მის უმად დანაყრებას უფრო მიმზიდველს ხდის. მათ შორისაა ცივი სუპი ისპანახის, ბალახებისა და ლატუკისგან. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადრე სუზანი ხშირად სტუმრობდა რესტორნებსა და ფასტფუდის დაწესებულებებს. 21 წლისა იოგამ გაიტაცა, რამაც მისი ცხოვრება სრულიად შეცვალა. ქალი დილის ხუთ საათზე იღვიძებს და ლიმნიან წყალს სვამს, მერე ვარჯიშობს იოგას, 10 საათზე კი ფურცლოვანი ბოსტნეულისგან გამოწურულ ერთ ლიტრამდე წვენს მიირთმევს. დღის განმავლობაში მის რაციონში შედის ხილი, კენკრა, მწარე შოკოლადი, კაკალი სხვადასხვა ვარიაციით. ენერგიას ქალი ხილისგან იღებს (მასში საკმარისი შაქარია), აუცილებელ ცხიმებს კი — კაკლისგან. სხვათა შორის, რეინოლდსის დედაც ჯანსაღი კვების მიმდევარი გახდა. მან უარი თქვა შაქარზე, რამაც გაფანტული სკლეროზის პროგრესირება შეაჩერა და განკურნა ამ დაავადებისგან.


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე

მისამართი: ნუცუბიძის №16ა

ტელ.: (5)99 22 98 33

ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com




## დაავადებებს სიზმრით დაადგინეს

ბრიტანელმა სწავლულებმა ლაფბოროს უნივერსიტეტიდან სიზმრების სამედიცინო ახსნა შეადგინეს, რომელიც გარკვეული შინაარსის სიზმარსა და დაავადებას შორის კავშირს აღწერს. მაგალითად, ხშირი კოშმარები, როგორც აღმოჩნდა, იმ ადამიანს ესიზმრება, რომელსაც შაკიკი, გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები აწუხებს ანდა ბეტა-ადრენობლოკატორების ჯგუფის პრეპარატებს იღებს. როგორც წესი, კოშმარი ძილის დროს ტვინში სისხლის მიწოდების გაუარესებას უკავშირდება, — ამბობენ მეცნიერები. სწორედ ესაა მიზეზი საშინელი სიზმრებისა.

ცვალებადი სიზმრები ოთახში ძალიან მაღალი ან დაბალი ტემპერატურის შედეგია. გარდა ამისა, სიზმრების სიხშირე არცთუ იშვიათად დამოკიდებულია ანტიდეპრესანტების მიღებაზე, ანდა ზურგზე, წელსა და სახსრებში ქრონიკულ ტკივილს უკავშირდება.

მძიმე სიზმრები, რომელშიც ადამიანი ვინმესგან გაქცევას და თავის გადარჩენას ცდილობს, ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადების ნიშანია. ასეთი სიზმრები ნერვული სისტემის პათოლოგიის განვითარების მანიშნებელი შეიძლება იყოს, თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მსგავსი სიზმარი შესაძლოა, ნორმა იყოს გადაღლილობის ან ძლიერი ემოციური განცდისას. ალკოჰოლის მიღება, მწვავე ინფექციური დაავადებები მკვეთრი სიზმრების მიზეზი ხდება. ეროტიკული ხასიათის სიზმრები, მკვლევართა განცხადებით, ჩვეულებრივ, არ უკავშირდება ადამიანის სექსუალურ სურვილს და ასეთ სიზმრებს ხშირად ხანდაზმულები ხედავენ, რაც განპირობებულია ტვინის მაღალი კრეატიულობით.

## მარიხუანა მკერდს ზრდის



მედიკოსების განცხადებით, ბოლო პერიოდში მამაკაცები ხშირად აკითხავენ ჩივილით, რომ მკერდი ეზრდებათ და ამ პროცესის რამენაირად შეჩერებას ითხოვენ. სწავლულებმა ტორონტოს უნივერსიტეტიდან სცადეს გაერკვიათ მიზეზი, რატომ ეზრდებათ კაცებს მკერდი. როგორც წესი, ზედმეტ წონასთან ერთად, იზრდება სარძევე ჯირკვლებიც და ამ შემთხვევაში წონაში დაკლება ყველაზე ბუნებრივი გამოსავალია. თუმცა, მკერდის ზრდის მიზეზი ხშირად ასაკიც შეიძლება იყოს — ასაკის მატებასთან ერთად, ძლიერ სქესს კუნთები და მკერდი მოშვებული აქვს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ არის სხვა სერიოზული მიზეზი, მაგალითად, მარიხუანა, რომლის მოხმარებაც სარძევე ჯირკვლების გაფართოებას იწვევს და მამაკაცები ვერც კი ხვდებიან, თუ რა სისწრაფით ეზრდებათ მკერდი. ამ შედეგამდე ასევე შეიძლება მიიყვანოს არასწორად დანიშნულმა წამლებმა, ჰორმონალურმა აბებმა. ზოგიერთ შემთხვევაში კი, კაცებში მკერდის ზრდა გამოწვეულია ღვიძლის დაავადებით, თირკმლის უკმარისობით. გარდა ამისა, ხშირად საფრთხე სწრაფი კვების პროდუქტებშია. სწავლულები იმასაც ამბობენ, რომ კიდევ ერთი მიზეზი ხსნადი ყავა შეიძლება იყოს.



1. ჯარების მართვის ორგანო
2. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის
3. სატყორცნი იარაღი მძლეოსნობაში
4. გათავისუფლებული ყმა
5. ცხოველთა სამყაროს შემსწავლელი მეცნიერება
6. ბრტყლად შემწვარი ვარია
7. ორელექტროდიანი ელექტრონმილაკი
8. ქალების მუსუსი, მექალთანე
9. შენობის სახურავზე წარმოქ. წვეტიანი ყინული
10. ლაბორატორიული ჭურჭელი
11. ფუფალას ვირტუალური სატრფო
12. უბანი სურამის დასავლეთ ნაწილში
13. ქართული მონასტერი ტაოში
14. რაჭის „დედაქალაქი"
15. ერთ-ერთი მდინარე, რომლითაც ჰერაკლემ ავგიას თავლები გაწმინდა
16. ვინმესთან მცირე ხნით სტუმრობა
17. წიწვოვანი ტყის ზოლი ციმბირში
18. მართლმადიდებელ მამათა დიდი მონასტერი
19. „ხელის ჭუჭყი"
20. წვიმა-სეტყვის ქართული წარმართული ღვთაება
21. შვედური ავტომარკა
22. უსაყელო და უსახელო მოკლე სამოსი
23. წყვილთა საბალო ცეკვა
24. ქვეყნის ძალადობრივი ჩარევა მეორე ქვეყნის საშინაო საქმეებში
25. ამერიკის კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი
26. ძველ რომაელთა სამოსი
27. იხ. სურათი; ავტორი
28. გამომწვარი ფერადი თიხა
29. ადამის ცოლი
30. პურეულის ნამჯის ნალეწი
31. ანტილოპას სახეობა
32. ძველი საბერძნეთი
33. ძველებ. მაღალი სამხედრო ქუდი
34. თვალის ფერადი გარსის ანთება
35. აკვალანგის გამომგონებელი
36. დიდი სიცხე, პაპანაქება
37. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
38. დაბადების მოწმობა
39. უგონო მდგომარეობა
40. ბიბლიური იაკობის საყვარელი ძე
41. დღის მომდევნო დღეს ანუ როდის?
42. ფრანგ. თოჯინების თეატრის მთავარი პერსონაჟი
43. საკონდიტრო ნაწარმი
44. იაროსლავ ჰაშეკის „ყოჩაღი ჯარისკაცი"
45. მორებისაგან შეკრული სამდინარო ტრანსპორტი
46. ინდოელი კინოვარსკვლავი აიშვარია ...
47. მსხლის ჯიში
48. კუნძულოვანი ქვეყანა ევროპაში
49. სამეურნეო მუშაკი
50. ინდური კობრა
51. დასაკეცი სამფეხი კინოაპარატის დასამაგრებლად
52. ვიეტნამის დედაქალაქი
53. კურორტი ქალაქ სოჭთან
54. აშშ-ის ტელეპრემია
55. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
56. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში
57. ქალაქ ტრიპოლის ძველი სახელწოდება
58. ორი წერტილი კამათელზე
59. მდინარე სანკტ-პეტერბურგში
60. დათვის „ბინა"
61. ჩაის „პრინცესა"
62. თმის მცენარეული საღებავი
63. ხაზი სამკუთ. წვერ. მოპირდაპირე გვერ. შუამდე
64. ცხვირით აღქმული შეგრძნება
65. მდინარე გერმანიასა და ნიდერლანდში
66. წამლის ბურთულა
67. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
68. ქამრის შესაკრავი
69. V ნოტი
70. არაოფიციალური მაკლერი ბირჟაზე
71. მაუგლის მეურვე და აღმზრდელი მგელი
72. ერთგვარი დიდი ხვლიკი
73. დასტურის გამომხატველი სიტყვა იტალიურად
74. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
75. ყველაზე გრძელი მთათა სისტემა დედამიწაზე
76. სკულპტურა „მოაზროვნის" ავტორი
77. იარაღის მწარმოებელი გერმანული კომპანია
78. შეძახ. კონცერ. ნომრის გამეორების მოთხოვნით
79. სიმსუქნეს მოკლებული ხორცი
80. უხეში მიტკალი
81. სახლის მთავარი, საერთო ოთახი
82. ქვეყნის ნაწილი
83. „პატიმრის საწოლი"

# ბედნიერ ქორწინებას გენი განსაზღვრავს



ბერკლის უნივერსიტეტის მეცნიერთა აზრით, ოჯახური ბედნიერება, ძირითადად, დამოკიდებულია გენეტიკურ ფაქტორებზე. 5-HTTLPR ცნობილია, როგორც „ბედნიერების გენი", რომელიც არეგულირებს სეროტონინის გადატანას თავის ტვინში. კალიფორნიელმა მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ამ გენის „მოკლე" და „გრძელი" ვარიანტები, ზომის მიხედვით, სხვადასხვაგვარად მოქმედებს წყვილის ემოციურ კმაყოფილებაზე. კვლევებში საშუალო და უფროსი თაობის 156-მა წყვილმა მიიღო მონაწილეობა. გაირკვა, რომ მათი ბედნიერება 20 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. სწავლულებმა გამოკითხვა ჩაატარეს მეუღლეებს შორის, რომელიც მათი ქორწინების ემოციურ მხარეს უკავშირდებოდა. ასევე აკვირდებოდნენ წყვილის ურთიერთდამოკიდებულებას. ცოლ-ქმრის ურთიერთობა შეფასდა როგორც სახის გამომეტყველების, ასევე სხეულის ენის, ხმის ტემბრისა და სასაუბრო თემის მიხედვით. მეცნიერებმა მოხალისეების დნმ-ის ნიმუშებიც გამოიკვლიეს და დაადგინეს, რატომ ემსგავსება ცოლ-ქმარი ერთმანეთს. აღმოჩნდა, რომ მონაწილეთა 17%-მა მშობლებისგან მემკვიდრეობით მიიღეს 5-HTTLPR-გენის მოკლე ვარიანტი. ამ გენის მატარებლებისთვის ურთიერთობისას მთავარი ყურადღება თბილ ურთიერთდამოკიდებულებას ენიჭება. თუ ისინი ნეგატიურ ემოციებში ჩავარდებიან, თავს უბედურად გრძნობენ, ხოლო თუ პოზიტივია გაბატონებული, ისინი უზომოდ ბედნიერები არიან. გენის „გრძელი" ვარიანტის მატარებლები კი, პირიქით, ნაკლებად მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ ოჯახში ემოციური ატმოსფეროს მიმართ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.